1953/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

12
დეკემბერი
1953

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პატარა გორი დიდია

პატარა გორი დიდია,
ბევრის მომსწრე და მნახველი
ქვეყნებში რეკავს ზარივით
მისი ქართული სახელი.

პატარა ქოხი დიდია
გორის ციხესთან ნაგები,
ერთმანეთს ჩაჰხუტებიან
ეს ძველი ამხანაგები.

ორთავეს ქებას უმღერის
ლიახვი დაუშრობელი...
პატარა გორი დიდია
დიდი სტალინის მშობელი.

ირაკლი აბაშიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 12
დეკემბერი, 1953 წ.
წელიწადი XXVII

## ოქროწერილი

### ალექსანდრე აბაშელი

თვე გავიდა და ყურძენმაც
მოათავა დამარჯნება.
სხვა თვე მოდის, მასაც მოაქვს
ჩვენი ქვეყნის გამარჯვება.

თქვენ, ბავშვებო, დააკვირდით
გადაფრენილ თვეთა რიგებს:
ყოველ მათგანს რაღაც დიდი
სიხარული ათარიღებს.

ამგვარ დღეთა ნათელ ზეიმს
თქვენთან ერთად მეც მოველი:
ზაფხულია თუ ზამთარი —
მუდამ მოჩანს მზე ცხოველი.

დილა სხივებს ამოანთებს,
ღამის ჩრდილი უცბად ქრება.
ოქტომბერზე ხომ გიამბეთ,
დღეს დეკემბერს ვუთხრათ ქება.

ამ თვეს ერთი დღე ანათებს
რა დღეაო, — ალბათ მკითხავთ. —
ხუთ დეკემბრის ბეჭედდასმულ
ოქროწერილს წაგიკითხავთ:

ოქტომბერმა რომ იელვა,
ცა განათდა ჩვენი წილი,
ღამე ზღვაში გადავარდა,
ჩვენი მხრიდან შელეწილი.

რაც იმ გრგვინვამ ჩვენი ქვეყნის
გასახარად დაიძახა,
იმ წერილში სამუდამოდ
ჩაენთო და ჩაისახა.

იქ ყოველი სიტყვა ბრწყინავს,
მართლაც ოქროს ბწკარებია.
ის დიდ სტალინს დიდი სიბრძნის
ცეცხლში გაუტარებია.

შიგ ყვავილობს ხალხთა ძმობის
უკვდავი ხე რტომრავალი, —
თქვენი სწავლა, თქვენი შრომა,
თქვენი დიდი მომავალი.

მან სიცოცხლე განუმტკიცა
თავისუფალ ხალხთა კავშირს,
ის ფრთებსავით აშრიალებს
თექვსმეტ დროშას, ლაღად გაშლილს.

ეს დროშები ელვარებენ,
თითქოს გემის აფრებია,
მიწას მზისკენ მიაფრენენ, —
რა სივრცეა! რა ფრთებია!

ეს თვეც წავა და სხვა მოვა,
სხვა თარიღით ანთებული.
მასაც ქება შევაგებოთ
და სიამით სავსე გული.

6604

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი ბელიაშვილი

ნახ. ზ. ლეჟავასი

# მარტივი ამოცანა

გოგიმ კვლავ ორიანები მიიღო მათემატიკასა და ფიზიკაში და, იმავე კლასში მეორე წელიწადს რომ არ დარჩენილიყო, ზაფხულის განმავლობაში უნდა ემზადებინა საგნები. მთელი ოჯახი შეაძრწუნა გოგის ამ დაუდევრობამ და სწავლაში ჩამორჩენამ. მამა გაბრაზებული ბუზღუნებდა:

— სულ უნდა გამოგიყვანო სასწავლებლიდან. ოცდაოთხი საათის განმავლობაში ბურთის თამაშის გარდა რომ არაფერზე ფიქრობ, აბა რა დაგემართებოდა. მე იმას კი არ ვამბობ, — ბავშვმა ბურთი არ ითამაშოს-თქო. ბურთიც უნდა ითამაშო, რიკტაფელაც და ასკინკილაც, მაგრამ სწავლა არ უნდა დაივიწყო. მე ხომ თავსა მჭრი, მთელ კლასს, მთელ სასწავლებელს სახელს უტეხ. რასა ჰგავს ეს! გაგაგზავნი ახლა ბიძაშენთან და ერთი ვნახავ იმ ფხეკებში რა დროებას გაატარებ. ის გასწავლის მაგ საგნებს და კარგი ბიჭი ხარ ნუ მოუმზადებ გაკვეთილს!

გოგის ბიძა, დიმიტრი, სამთო ინჟინერი, წაბლიანთ ხევში მარმარილოს კარიერების უფროსად მუშაობდა. ეს საბადო კი ისეთ მიუვალ ადგილას მდებარეობდა მთაში, ისეთ ვიწრო და კლდოვან ხეობაში, რომ იქ მართლა არა თუ ბურთის სათამაშო მოედნის მონახვა, უბრალო წამოსაკოტრიალებელი კორდიც კი საძებნი და სანატრი რამ იყო. გოგის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თუ რა მკაცრსა და მიუვალ მთებში გზავნიდა მამამისი. არასოდეს არ ენახა ასეთი ადგილები და, როდესაც ავტომანქანამ ამ ზღაპრულ ხეობაში შეუხვია, გოგის ყველაფერი დაავიწყდა. ის აღტაცებით ათვალიერებდა ცამდე ამართულ შვეულ კლდეებს, ნაძვის, ურთხელისა და წიფლის უზარმაზარ ხეებს.

გზა ჯერ ისეთ ვიწრო დერეფანში მიუყვებოდა, რომ ფრიალო კლდეები თითქმის ებჯინებოდნენ ერთმანეთს და ზემოთ ძლივს ჩანდა ცის პატარა ნაგლეჯი. შემდეგ გზა სულ მაღლა წავიდა, იტრიალა, იტრიალა და ერთ მთის ფერდობს მიაღწია. აქ, სადაც კი თვალი მიუწვდებოდა, მთელი მიდამო დაფარული იყო ულრანი ტყით. გარშემო სულ ფიჭვები და ნაძვები ამართულიყვნენ. მხოლოდ აქა-იქ მოჩანდნენ ფოთლოვანი ხეები.

მალე ნაძვებში გამოჩნდნენ ლამაზი ხის სახლები. ზოგი მათგანი ორსართულიანი იყო, პატარა აივნებით და ზედ შეზრდილი ხვიარა მცენარეებით. შენობებს იქვე ჩაუდიოდა პატარა რუ, რომელიც ერთის ბუტბუტით გადარბოდა ქვებზე და ციგლიგით მიემართებოდა ქვემოთ.

შოფერმა გოგი ერთ ასეთ სახლთან ჩამოსვა და უთხრა:

— აი, აქ ცხოვრობს ბიძაშენი.

გოგი მიადგა კარს და დააკაკუნა. არავინ არ უპასუხა. კიდევ დააბრახუნა კარებზე, მაგრამ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრახუნის დროს მოულოდნელად კარი თავისთავად გაიღო და გოგი სახლში შევიდა. პირველ დიდ ოთახში მაგიდაზე ეწყო ნახაზები, რაღაც ნაწერი ქაღალდები მთლად აჭრელებული ფორმულებით. კედლებზედაც ნახაზები ეკიდა, იქვე იდგა კარადა, წიგნებით გამოტენილი. გოგიმ მეორე ოთახში გაიხედა. ეს, როგორც ეტყობა, საწოლიც იყო და სასადილოც. ერთ კუთხეში ლოგინი იყო გაშლილი, ხოლო მეორე კუთხეში მაგიდაზე იდგა წყლის დოქი, რამდენიმე საინი და ტილოგადაფარებული პური თუ ქვაბი—ვერ გაარჩევდი.

გოგიმ თავისი ჩემოდანი კუთხეში მიდგა და გადაწყვიტა ძია მოეძებნა. ის ალბათ კარიერზე თუ იყო.

კარიერისკენ სამანქანო გზა მიუყვებოდა. მალე გოგი მიადგა სამუშაოებს. აქ მრავლად ეყარა აყირავებული ლოდები, ზოგი გათლილი, ზოგი გაუთლელი. გადახურულ ფარდულში ფათქუნებდნენ საკომპრესორო დანადგარის მოტორები. ესენი შეკუმშულ ჰაერს აწვდიდნენ მილებით საბურღავ მანქანებს. კლდეზე ალაგ-ალაგ მოჩანდნენ მბურღავი მუშები. ისინი მუცლით მიყრდნობოდნენ პნევმატურ ჩაქუჩებს და კლდეებს ბურღავდნენ. ჩაქუჩები ტყვიამფრქვევებივით რახრახებდნენ.

გოგიმ ერთ-ერთ მუშას ჰკითხა, ძია დიმიტრი ხომ არ გინახავსო. მან ხელით აჩვენა—აი, იმ კლდის ქიმზე არისო.

გოგი გაუყვა იმ მიმართულებით და მალე ხეობის კლდოვ ნ კბოდეზე რამდენიმე მამაკაცი დაინახა და მათ შორის თავისი ბიძა იცნო.

დიმიტრი გახარებული შეეგება ძმისწულს. მან წინადღით მიიღო ძმის წერილი და უკვე იცოდა თავისი ძმისწულის სტუმრობის მიზეზი.

— გამარჯობა ბიჭო, შენი! როდის ჩამოხვედი? ახლა? არ გშია? ხომ არ დაიღალე?

— არა ძია.

— მაშ მოდი, ჯერ ჩვენი უფროსები გაგაცნო. აი ესაა ჩვენი ტრესტის დირექტორი, შენი სეხნია, ძია გიორგი. ეს ჩვენი ინჟინრები ვახტანგი და თეიმურაზი.

— ამათ მე ვიცნობ, — თქვა გოგიმ, როდესაც მათ ხელს ართმევდა.

— საიდან? — გაიკვირვა ძია დიმიტრიმ.

— ვახტანგი ცნობილი ფეხბურთელი იყო წინათ, თეიმურაზი კი მძლეოსანი.

— ჰოო! ახლა კი ორთავენი ცნობილი ინჟინრები არიან, — ღიმილით უთხრა ტრესტის დირექტორმა გოგის, — აი, აგერ ვახტანგმა უნდა შეგვიდგინოს კაბელ-კრანის პროექტი, ხოლო თეიმურაზმა—ააგოს.

გოგიმ ჩუმი პატივისცემით კიდევ შეავლო თვალი ამ ორ ინჟინერს. მათი სახელები ერთ დროს მთელ ახალგაზრდობას პირზე ეკერა.

მამაკაცებმა საქმიანი საუბარი განაგრძეს, გოგიმ კი ჩურჩულით ჰკითხა დიმიტრის:

— რა არის კაბელ-კრანი?

— ახლავე აგიხსნი, — ხმადაბლა უთხრა ბიძამ, რომ დანარჩენთა საუბრისათვის ხელი არ შეეშალა, — აი, ამ ხეობის გარდიგარდმო ჩვენ გავაბამთ ფოლადის ბაგირს. ამ ბაგირზე იმოძრავებს ბორბლებზე დადგმული ჭალი ანუ პოლისპასტი, რომლის საშუალებით ჩვენ აქ ავწევთ მარმარილოს დიდ ლოდს, გავიტანთ ბაგირის შემწეობით ხეობის შუაგულამდე და იქიდან ნელ-ნელა დავუშვებთ ხეობის ძირამდე, სადაც ჩავტვირთავთ მანქანაში. ეს გაგვიადვილებს ამ მძიმე ლოდების ჩაზიდვას ქვემოთ, შეამოკლებს გზას ხუთი კილომეტრით და გააიაფებს ჩვენი მარმარილოს თვითღირებულებას.

— ეგ კარგი საქმეა, — დაემოწმა გოგი.

— ჩვენ ახლა წინასწარ ვათვალიერებთ ამ ადგილს და გვინდა გავზომოთ მანძილი აქედან აი იმ ხემდე, გაღმა რომ აღმართულა უფსკრულის პირად.

გოგის ის-ის იყო უნდა ეკითხა თუ როგორ აპირებთ ამ თვალუწვდენელი სიღრმის ხეობის თავზე, ზედ მგონი ფრინველსაც რომ გაუჭირდება გადაფრენა, მანძილის გაზომვასო, რომ ამ დროს დიმიტრი მიუბრუნდა ტრესტის დირექტორს და უთხრა:

— იცით, რას გეტყვით, ამხანაგო დირექტორო, მოდი ქვემოთ, ხეობაში ჩავიდეთ და იქ სატვირთო ბაქანისათვის ადგილი დავათვალიეროთ, მანამდე კი ჩვენს ახალგაზრდა სტუმარს ვთხოვოთ მანძილი გაგვიზომოს იმ მიუწვდენელ წერტილამდე. ამას ხომ ჩვენი სკოლის ყოველი მოწაფე გააკეთებს აი, ამ პატარა სახაზავითაც კი.

ესა თქვა და გოგის სახაზავი გაუწოდა.

— ცხადია, ასეთ მარტივ ამოცანას ჩვენი სტუმარი ადვილად გადაწყვეტს, — ღიმილით დასძინა ვახტანგმა.

გოგის ენა დაება და, სანამ მოისაზრებდა პასუხას გაცემას, უფროსები ბილიკს დაუყვნენ და ეს ჩვენი გაჭირვებული მათემატიკოსი ადგილზე დატოვეს.

— „ეს რა ჭირში ჩავვარდი, — გაუელვა თავში გოგის, — ამ პატარა, ერთ მტკაველიანი სახაზავით, როგორ უნდა გავზომო ამ უფსკრულის სიგანე. ხომ არ მამასხრებენ? არა, ეს შეუძლებელია. რად არ ვუთხარი ამას ვერ შევძლებ-მეთქი. მაშინ ხომ თავი მომეჭრებოდა. არა, ეს მართლა არ შეიძ-



— აი, ამ თეთრ საწერ ქაღალდს ხედავ? ამ ქაღალდით გავზომავ მე მანძილს აქედან იმ მიუვალ ნაძვის ხემდე.

ლებოდა. არადა როგორ გავზომო მანძილი ამ ციცქნა სახაზავით. ნეტავი ფრენა მაინც შემეძლოს".

გოგიმ უმწეოდ მიმოიხედა და თვალი მოჰკრა მოხუც ესტატეს, რომელიც ათისთავად მუშაობდა ამ კარიერზე. ეტყობოდა ის თავიდანვე აქ იყო, რადგან ღიმილით უცქეროდა გოგის და ხელში სიგრძის საზომ რულეტს ათამაშებდა. გოგი კარგად იცნობდა ესტატეს. ის რამდენჯერმე ყოფილა მათ ოჯახში თბილისში.

— რაო, გოგი, საგონებელში ხომ არ ჩავარდი?

— იცი რა, ძია ესტატე, უნდა გამოგიტყდე და გულახდილად გითხრა, რომ ასეთი სირცხვილი ჯერ არ დამმართია. ამ სახაზავით როგორ უნდა გავზომო ეს უფსკრული?!

— შე კაცო, გეომეტრიას შენ სწავლობ და ტრიგონომეტრიას! ხომ ისწავლე?

— ვისწავლე,—გაჭირვებით აღმოხდა გოგის,— ვისწავლე, მაგრამ ახლა აქ როგორ უნდა გამოვიყენო ეს მეცნიერება, ამაზე წარმოდგენა არა მაქვს.

— შე კაცო, მაგაზე ადვილი რაა, შენს სწავლას რა ჰკუა აქვს, თუ ცხოვრებაში ვერ გამოიყენებ. მანძილიც უნდა გაზომო...

— მერე როგორ უნდა გავზომო, ძია. ხომ ვერ გადავფრინდები! არადა ვერც თოკს გააბამ, ვერც საზომ ბაფთს.

— საქმეც ეგაა, მაგრამ ბიჭობაც იმაშია, რომ ასე გაზომო მანძილი და ერთ მტკაველშიაც არ მოტყუვდე. შენ გეომეტრია და ტრიგონომეტრია ალბათ კარგად იცი და ახლავე გავაკეთებთ ამას მე და შენ.

გოგის შერცხვა და უნებურად ლოყებზე სიწითლემ გადაჰკრა. როგორღა გაემხილა, რომ მათემატიკურ საგნებში სუსტი ნიშნები ჰქონდა მიღებული და სწორედ ამისთვის გამოგზავნეს აქ, რომ ბიძას მოემზადებინა.

ესტატე კი ფუსფუსით განაგრძობდა:

— რომ იცოდე რა მარტივი ამოცანაა მიუწვდომელ წერტილამდე მანძილის გაზომვა.

– ამისათვის ალბათ განსაკუთრებული ხელსაწყოები არსებობს.

— ცხადია, მაგრამ ვთქვათ შენ არავითარი ხელსაწყო არ გაგაჩნია გარდა ამ პატარა სახაზავისა, რომლის სიგრძე ოც სანტიმეტრს არ აღემატება. მაშინ რას აპირებ? შეძლებ თუ არა გაზომო მანძილი ამ უფსკრულის გაღმით, კლდისპირას ამართულ ნაძვის ხემდე?

გოგიმ უხერხულად ჩაჰკიდა თავი და სირცხვილისაგან აღარ იცოდა რა ეპასუხნა. ახლა ცდილობდა მოეგონებინა სკოლაში ნასწავლი, მაგრამ რაც არ იცოდა რა უნდა მოჰგონებოდა!

— არ ვიცი, — თქვა მან მცირე დუმილის შემდეგ. — წარმოდგენაც კი არ მაქვს.

— ეს რა მესმის! არ გაამხილო მაინც სადმე. ამაზე მარტივი ამოცანა შეუძლებელია დაუსახოს ადამიანმა შენოდენა ახალგაზრდა კაცს, რომელსაც გეომეტრიაც შესწავლილი აქვს და ტრიგონომეტრიაც. მაშ, ცხოვრებაში შენს წინაშე ცოტა უფრო რთული ამოცანა რომ წამოიჭრას, ვერ უნდა გადაწყვიტო? აქ ტრიგონომეტრიაც კი არ არის საჭირო, უბრალო გეომეტრიული ხერხითაც გადავწყვეტთ.

— როგორ?

— სრულიად უბრალოდ. აი ამ თეთრ საწერ ქაღალდს ხედავ? ესაა მოზრდილი ბლოკნოტის ერთი ფურცელი. აი ამ ქაღალდით გავზომავ მე მანძილს აქედან იმ მიუვალ ნაძვის ხემდე.

გოგიმ გაოცებისაგან პირიც კი დააღო, — ამას რას მეუბნება ეს კაციო. მას ვერაფრით ვერ წარმოედგინა, როგორ შეიძლებოდა ერთი ნაგლეჯი ფარატინა ქაღალდით ამ მიუწვდომელი მანძილის გაზომვა.

ესტატემ კი ბლოკნოტის ფურცლის ერთი კუთხე ისე გადაკეცა, რომ ზუსტად ტოლფერდა სამკუთხედი მიიღო. მერე ჯიბის დანით ეს სამკუთხედი მოჭრა, გოგის სუფთა ფილაქვა მოატანინა და ცოტა შემაღლებულ ადგილზე დაადებინა.

— აი, ახლა მიყურე, -- უთხრა მან გოგის, — ჩვენ ახლა ავაგებთ ამ პატარა ქაღალდის მსგავს სამკუთხედს. აღვნიშნოთ ამ ქვაზე წერტილი და წარმოვიდგინოთ, რომ ეს არის მომავალი ჩვენი დიდი მართკუთხა სამკუთხედის წვერო.

მივადგათ ამ წერტილს ეს ქაღალდის სამკუთხედი მართი კუთხის წვეროთი და ერთი კატეტი გავუმიზნოთ იმ ხეს. ახლა თუ ჩვენ ამ სამკუთხედს არ გავანძრევთ და ამის მეორე კატეტს გავხედავთ, ჩვენ შეგვიძლია მეორე კატეტის გაგრძელება. ამისთვის საჭიროა, რომ ამ გამიზნულ ხაზის გასწვრივ სადმე სარი დავასოთ. ახლა ამ პატარა სამკუთხედის მსგავსი დიდი სამკუთხედის ორი გვერდის მიმართულება გვაქვს და ორი წვერო. ერთი წვერო ის გაღმა ხეა, მეორეზე ჩვენ ვდგავართ, მოსაძებნია მესამე წერტილი, რომელიც აი ამ ჩვენს მიერ გამიზნულ ხაზზეა სადღაც. ამისთვის წავიღოთ ეს სამკუთხედი, გავუყვეთ ამ მეორე კატეტის გაგრძელებას და როდესაც დაახლოებით გავივლით საკმაო მანძილს, დავუმიზნოთ სამკუთხედის ჰიპოტენუზა იმ წერტილიდან გაღმა ხეს. მერე სამკუთხედის შეურხევლად გავხედოთ კატეტსაც და თუ მისი ხაზი დაემთხვა ჩვენს მიერ კბოდეს გასწვრივ გავლებულ ხაზს და გაიარა იმ წერტილზე, სადაც პირველად ვიდექით, მაშინ მესამე წერტილიც მონახულია. ეს ცხადია პირველსავე ცდაზე არ მოხდება და ამ მესამე წერტილის მოსაძებნად რამდენჯერმე მოგვიხდება დაკვირვების გამეორება. როდესაც ამ მესამე წერტილს მივაგნებთ, საკითხი უკვე გადაჭრილია. ჩვენ ვიცით, რომ მართკუთხა ტოლფერდა სამკუთხედში კატეტები ტოლები არიან, ამიტომ მანძილი გაღმა ხემდე უდრის ჩვენს მიერ ამ მხარეზე გაკვალულ სიგრძეს, საკმაოა მისი გაზომვა და ჩვენ უკვე ვიცით მანძილი ხეობის ერთი ნაპირიდან მეორემდე.

— ეს რა ადვილი ყოფილა! — წამოიძახა აღტაცებით გოგიმ.

მის თვალწინ ახლა სრულიად ახალი სამყარო გადაშლილიყო. ამ მარტივი ამოცანის ამოხსნამ რაღაც თავისებური სინათლე შეიტანა გოგის აზროვნებაში და დაანახა თუ რამდენად საინტერესო ყოფილა ის მეცნიერება, რომელიც აქამდე გაკვეთილებზე ძილს გვრიდა ხოლმე.

— ეს ადვილი ყოფილა, — განაგრძო გოგიმ, — მაგრამ ვთქვათ გამოღმა მხარეზე ადგილი ნებას არ გვაძლევს ამ ხეობის სიგანის ტოლი ხაზი გადავზომოთ და ტოლფერდა სამკუთხედი ავაგოთ. მაშინ როგორღა მოვიქცეთ?

— მაშინ უბრალოდ მართკუთხა სამკუთხედს მოვიშველიებთ, მხოლოდ ერთ-ერთი მახვილი კუთხის გაზომვა დაგვჭირდება და ყველაფერს ადვილად გამოვითვლით. კუთხე უბრალო ტრანსპორტირითაც კი შეგვიძლია გავზომოთ. დანარჩენი კი ადვილი საქმეა. მაგალითად, თუ ერთი კუთხე ოცდაათ გრადუსს უდრის, ამ კუთხის მოპირდაპირე კატეტი, როგორც ცნობილია, უდრის ჰიპოტენუზის ნახევარს, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, თუ ჰიპოტენუზა უდრის, მაგალითად, ოცდაათ მეტრს, მაშინ კატეტი უდრის თხუთმეტ მეტრს. ეს, მე მგონია, შენთვის სავსებით ნათელი უნდა იყოს.



— ცხადია.

გოგისთვის ეს მართლაც ნათელი გახდა, მაგრამ დანარჩენი, რაც კი ესწავლა, კვლავ ბუნდოვანად ესახებოდა მეხსიერებაში და უნებლიედ შეიპყრო სურვილმა, ახლავე გაქცეულიყო შინისაკენ, გაეხსნა თავისი ჩემოდანი, ამოეღო იქიდან საგანგებოდ წამოღებული სახელმძღვანელოები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაევლო თვალი იმ თავებისათვის, სადაც ყოველივე ახსნილიც იყო და განმარტებულიც. ის ახლა მზად იყო ერთი დაჯდომით თავიდან ბოლომდე გაემეორებინა ყოველივე და, თუ რაიმეს ვერ გაიგებდა, ასჯერ, ათასჯერ გადაეკითხა. რა კარგად უხსნიდა თურმე კლასში მასწავლებელი ამას ყველაფერს. რა იოლი გასაგები ყოფილა ეს საგნები და მას კი როგორ მძიმედ და გაუგებრად ეჩვენებოდა აქამდე.

— თქვენ საიდან იცით ეს, ძია ესტატე?

— როგორ თუ საიდან! მისწავლია და იქიდან. მართალია მას შემდეგ კარგი ორმოცი წელია გასული, მაგრამ ბევრი რამ ჯერ არ დამვიწყებია.

გოგის სირცხვილის ალმურმა კვლავ გადაურბინა სახეზე. ამ მოხუც კაცს ორმოცი წლის წინანდელი ნასწავლი საგანი ახსოვს, მან კი ეს წელს ისწავლა და არაფერი არ იცის.

— ასეა, ჩემო გოგი, — განაგრძობდა ესტატე, — მე ეგ კი არა, თუ გინდა ახლავე ზეპირად გამოგითვლი აქედან რამდენია დედამიწის ცენტრამდე.

— ეგ როგორ?

— ოჰო, ნუთუ ეგ შენ არ იცი? მე რომ შენიოდენა ვიყავი ასეთ რამეებს ერთ წუთში ვაკეთებდი. როგორ და აბა ყური დამიგდე. ჩვენ რომ მთის მწვერვალზე დავდგეთ, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან ერთი კილომეტრი იქნება, და ჰორიზონტს გავხედოთ, ჰორიზონტისაკენ მხედველობითი სხივის სიგრძე ას ათი კილომეტრი იქნება.

— მერე?

— ამგვარად, თუ დედამიწის ცენტრს შევუერთებთ სწორი ხაზით ჩვენი დგომის წერტილს და მხედველობითი სხივის მხების წერტილს, ჩვენ მივიღებთ მართკუთხა სამკუთხედს, რომლის ერთი კატეტი უდრის ას ათ კილომეტრს, მეორე დედამიწის რადიუსს, ხოლო ჰიპოთენუზა რადიუსს პლიუს ერთი. ამ მონაცემებით ჩვენ თამამად შეგვიძლია გადავწყვიტოთ რადიუსის სიგრძე. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ჰიპოთენუზის კვადრატი უდრის კატეტების კვადრატების ჯამს. ჩვენს შემთხვევაში რადიუსს პლიუს ერთი კვადრატში უდრის რადიუსს კვადრატში პლიუს ას ათი კვადრატში. გავხსნათ პირველ ნახევარში ფრჩხილები, მოვახდინოთ სათანადო შეკვეცა, უცნობი ერთ მხარეზე დავტოვოთ, ნაცნობი მეორეზე და საბოლოოდ მივიღებთ, რომ დედამიწის რადიუსი უდრის



ექვსი ათას ორმოცდაცხრანახევარ კილომეტრს. შენ ეგ, შინ რომ მიხვიდე, ქაღალდზე შეამოწმე და ნახავ, მე სწორი ვარ თუ არა. ეჰ, მაგისთანა უბრალო გამოთვლებს ადვილად ვაწარმოებ. ბედმა არ მაღირსა უმაღლესი მათემატიკა მესწავლა და ისეთი რთული გამოთვლები მეწარმოებინა, როგორიც ბიძაშენმა და აჰ ჩვენმა ვახტანგმა და თეიმურაზმა იციან.

ქვემოდან ძახილი მოისმა.

— უჰ, მე მეძახიან, — აფუსფუსდა მოხუცი, — შენ თუ შეგიძლია მარტო შეამოწმო ჩვენს მიერ გაზომილი მანძილი, კიდევ ერთხელ გაიმეორე იგი და თუ ერთნაირი შედეგი მიიღო, მაშინ პირვანდელი გამოთვლა სწორად ჩაგვითვლება. სამკუთხედი ახლა მეორე მხარეზე ააგე. განსხვავება, ცხადია, გექნება, რადგან ძნელია ასეთი პრიმიტიული ხელსაწყოთი, როგორიც ეს ქაღალდის სამკუთხედია, ზუსტი დაკვირვება ვაწარმოოთ და შეცდომა არ მოგვივიდეს. ამიტომ პირველსა და მეორე გამოთვლებში თუ დიდი განსხვავება მივიღეთ, ეს გაზომვა რამდენჯერმე უნდა გავიმეოროთ და ყველაზე უფრო სარწმუნო შედეგს დავეყრდნოთ, ან ყველა დაკვირვებათა საშუალო რიცხვი მივიჩნიოთ ნამდვილ სიდიდედ. გასაგებია?

— ცხადია.

— მაშ ასე, მე წავედი, შენ კი შენი საქმე განაგრძე. აი, ეს რულეტიც. დაიჭი!

მოხუცი წავიდა. გოგი შეუდგა მანძილის ხელახლა გაზომვას იმ წესით, როგორც ეს ესტატემ ასწავლა. ახლა მეორე მხარეს ააგო სამკუთხედი. მერე ბაფთის ერთი ბოლო ჩხირით დაამაგრა და კბოდეს გასწვრივ მიღებული მანძილი გაზომა. იგი პირვანდელი სიდიდის ტოლი აღმოჩნდა. მაშასა-

დამე გოგის შეუცდომლად გაეზომა ხეობის სიგანე. კმაყოფილი იმით, რომ უფროსთა დავალება შეასრულა და მათ წინაშე თავი არ შეირცხვინა, მაშინვე გაემართა მათკენ, რათა ყოველივე მოეხსენებინა.

საღამოს კი, როდესაც შინ დაბრუნდა და თავის ჩემოდნიდან სახელმძღვანელოები ამოალაგა, მოულოდნელად კარი გაიღო და ოთახში ბიძამისი შემოვიდა ვახტანგთან და თეიმურაზთან ერთად. გოგიმ იფიქრა, ამათ რომ ხელში სახელმძღვანელოები დამინახონ, ყოველივეს მიხვდებიან და თავი მომეჭრებაო, ამიტომ შეეცადა წიგნები შეუმჩნევლად მიემალა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— ეჰე, რაკი სახელმძღვანელოებით წამოსულხარ, ვატყობ, შენი საქმე ვერ ყოფილა კარგად, — ღიმილით უთხრა ვახტანგმა და თვალით წიგნებზე ანიშნა, — მაგრამ ნუ გრცხვენია. ეგ ადვილი გამოსასწორებელი საქმეა. შენ ახლა ეგ წიგნები დააწყე, წამო, კალათბურთი ვითამაშოთ. ერთი კაცი გვაკლია.

— არა, ძია ვახტანგ, — გაიმაგრა გული გოგიმ და უარის ნიშნად თავი გაიქნია, — საგნები უნდა მოვამზადო!

დიმიტრიმ გაიღიმა და თავის ძმისწულს მხრებზე ხელი მოხვია:

— შენ ახლა გინდა, რომ ერთის დაკვრით გამოასწორო შეცდომა? არა, შვილო, ახლა წადი, ცოტა ჰაერზე წაივარჯიშე, მერე კარგად გამოიძინე და ხვალ დილიდან შეუდექი მეცადინეობას. ისიც, ისე კი არა, რომ დილიდან საღამომდე თავი დაიკლა. როცა დაიღალო, დაისვენე. საგნების მომზადებაში აგერ ვახტანგი მოგეხმარება.

გოგი იძულებული იყო დათანხმებულიყო და აღფრთოვანებული იმით, რომ ისეთ სახელოვან სპორტსმენთან ივარჯიშებდა, როგორიც ვახტანგი იყო, ხალისიანად გაემართა კალათბურთის მოედნისაკენ, გულში კი მაინც აწუხებდა ფიქრი იმაზე, რომ მისი ჩამორჩენა სწავლაში გამომჟღავნდა და ყველაზე უფრო ახლა შეიპყრო სინანულის გრძნობამ. აჰ, რას არ დათმობდა გოგი იმისთვის, რომ ყველა საგანში ხუთი ჰქონოდა და ისე გაჰყოლოდა გვერდით ვახტანგს. რა თავისუფლად და თამამად გავიდოდა მაშინ იგი მოედანზე!

---

გიორგი კაჭახიძე

# დილა ფერმაში

მხიარული დილის შუქი
ბოსლის სარკმლებს ეფინება,
ჭრელამ ცქვიტა ფხიზლად ყური
და პირველი ფეხზე დგება,
დინჯად მიჰყვნენ სხვა ძროხები,
აიშალნენ ნება-ნება.

სახბორეში ხბომ კუნტრუშით
გამომწვევად ხბოს ურქინა.
ჰა, გამოჩნდნენ მწველავებიც,
მოწინავე მოდის წინა.
გახალისდა ფერმის ეზო,
ბოსლის ჭერმა გაიცინა.

თვალციმციმა თამრიკელაც
დედის გვერდით მოიჩქარის,
სწავლაშიაც, შრომაშიაც
ბეჯითი და ცქვიტი არის,
სახბორისკენ წაცქრიალდა
და გააღო მკვირცხლად კარი.

კუდაპრეხით ხბო ხბოს მოსდევს,
წინ გზა ედოთ თითქოს გრძელი.
თავის დედებს უმალ ცნობენ,
არ ერევათ შავში ჭრელი.
მწველავები დატრიალდნენ
და შეავლეს ცურებს ხელი.

რძე თუნუქის ვედროებში
ახმაურდა, აჩანჩქერდა.
აგერ თამრო ხბოს აჩერებს:
— წიხლის გაკვრას როგორ ბედავ!
ჰა, შეხედე, რძით რა მაღალ
ვედროს ავსებს შენი დედა.

შენც რომ დიდი შეიქნები,
დიდ ძროხებთან ერთად ივლი
და დედიკო რომ გეწველა,
საღამოს თუ ადრე დილით,
გაახარე, რძე მიეცი,
რძე გულუხვად თეთრი, თბილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. კ. მახარაძისა

ლეო ქიაჩელი

# დათუჩას გაცილება

კვირა დღე თენდებოდა. სოფელ მაშენს საგანთიადო ნისლი ჯერ კიდევ ვერ გადაეყარა, მაგრამ მის გორებსა და ბორცვებზე შემოდგომის ფერებს უკვე დაეწყო ლივლივი. შორიახლო ხეებს თუ ფერდობებზე შეფენილ ჩაის ბუჩქებს, აქა-იქ მიმოფანტულ ჩირგვებსა თუ ძირს გაფენილ ბალახს, ძვირფასი ყელსაბამივით ბრჭყვიალა ცვრის ობობები შეკიდებოდა. მათში თავშეფარებული ლალი, ქარვა და იაგუნდი, ყველა თავისებურად, ცოცხალ არსებასავით ახელდა თვალებს. იგრძნობოდა, რომ სადღაც შორს, უსაზღვროებაში და ამავე დროს სულ ახლოს, იქვე, თითოეულ ხესთან, ბუჩქთან და ბალახთან სასწაულებრ იბადებოდა ნათელი და ქვეყანა მის მისაგებებლად ემზადებოდა.

მალე აღმოსავლეთის მხრიდან წამოსულმა სინათლის მკრთომარებამ ლაჟვარდის მაღალი ფარდა ფრთხილად შეარხია. ცის კაბადონი გაირღვა და საიდანღაც ამოვარდნილი პირველი სხივი უჩინარი მზისა ზეცას ელვასავით გაეკრა.

გათენდა.

და უმალ მაშენის განაპირას, რკინიგზის ბაქნამდე ახლადგაყვანილ ფართო ქუჩაზე, მანამდე საგანთიადო ნისლით დაფარული არაჩვეულებრივი სანახაობა გადაიშალა, — ეს იყო ქუჩის გაყოლებაზე ჩამწკრივებული სააღლუმოდ მორთული და სოფლიდან უთენია წამოსული რვაწლედის უფროსკლასელების პატარა რაზმი, რომელიც დოლის ცემით მწყობრად ბაქნისაკენ მიედინებოდა დათუჩას ზოოპარკში გასაცილებლად.

ინათა თუ არა, პიონერებმა მედგრად შემოსძახეს საყვარელი სიმღერა «დელი დელა», ნიშნად დღის სინათლის მიგებებისა, და ნაბიჯს აუჩქარეს.

რაზმის წინ, ცოტა დაშორებით, დათო მიაბიჯებდა, რომელსაც მარჯვნით ჯაჭვშებმული დათუჩა მიჰყავდა, ხოლო მარცხნით მერცხალა ადევნებოდა. უკან გოგია და თენგიზი მიჰყვებოდნენ, რომელთაც გვერდით მისდევდა ზოოპარკის ახალგაზრდა თანამშრომელი, თბილისიდან მაშენს ჩამოსული დათუჩას წასაყვანად.

სულ ბოლოს მაია და იასონი მოდიოდნენ ზოსიმეს, აბესალომისა და თადეოზის თანხლებით. მომღერალ ზოსიმეს ვერ მოეთმინა და თავისი გამყივანი ხმა ბავშვების გუნდისათვის შორიდან აედევნებინა. თანაც აბესალომს და თადეოზს იწვევდა, ხმა ამოიღეთო.

— გული როგორ გითმენთ, თქვე კაი კაცებო, რომ გაჩუმებულხართ თქვენისთანა ბანის პატრონები. ვერ ატყობთ, რომ ბავშვებს ბანი აკლიათ?

— ჩემო ზოსიმე, სჯობს შენც გაჩუმდე. ჩვენი ბებრული სიმღერით ნუღარ ავამღვრევთ მათი წმინდა ხმების ანკარა წყაროს, — მიუგო ენამწარე აბესალომმა. მას თადეოზიც დაეთანხმა, და ზოსიმეც დადუმდა.

* * *

თბილისის მატარებელი ახალ გათენებულზე მოდიოდა მაშენში, სადაც სამი წუთით დგებოდა. სწრაფად ახლოვდებოდა მისი გამოვლის დრო. ასევე სწრაფად ილეოდა ბაქნამდე დარჩენილი მანძილი, რომელიც პიონერებს უნდა გაევლოთ.

მალე შეწყდა სიმღერა და როგორც ზღვის ტალღა ნაპირის წინ, ისე აიქოჩრა მატარებლის სადგომს მიახლოვებული რაზმი.

დათუჩამ რა იცოდა, სად და რისთვის მიჰყავდათ იგი. გრძნობდა კი, რომ გარშემო რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი ხდებოდა, და ეს მოსწონდა. ადამიანების საზეიმო განწყობილება მასაც გადასცემოდა. სულ წინ მიისწრაფოდა და ჯაჭვი ისე დაეჭაჩა, რომ დათო ძლივს აკავებდა.

მერცხალა, ცოტა არ იყოს, გაოგნებული ჩანდა. ვერ გაერკვია, რას ნიშნავდა ყოველივე ეს, რადგანაც ამის მსგავსი არაფერი ენახა. მის გარდა სხვა ძაღლი რომ არ ჩანდა, ეს არწმუნებდა, რომ ხალხი სანადიროდ არ მიდიოდა. არ იცოდა, თავი როგორ დაეჭირა. ის კი გადაეწყვიტა, რომ დათუჩას და დათოს არ ჩამოშორებოდა.

რაზმი ბაქანზე ავიდა. ახმაურებული პიონერები უმალვე აიშალნენ. დათუჩას გარს შემოეხვივნენ. ნუცა პირველი მიიჭრა დათუჩასთან.

— დათუჩა, ჩემო დათუჩა! არ გრცხვენია, რომ გვტოვებ, — ეუბნებოდა იგი. ძალიან უნდოდა გადახვეოდა, მაგრამ წარბშეკრულ, მდუმარე დათოს რიდით ვერ გაებედნა.

— დათუჩა! დათუჩა! გზა მშვიდობისა, დათუჩა! — სხვადასხვა კილოზე ისმოდა პიონერების გამოსათხოვარი ძახილი.

ამასობაში უკან მომავალი მაია, იასონი და მათი ამალა ამოვიდა ბაქანზე. პიონერებს შორის ჩადგნენ. ისინიც ალერსით წარმოსთქვამდნენ დათუჩას სახელს და გულდაწყვეტილები ჩანდნენ.

ზოოპარკის თანამშრომელმა თენგიზისა და გოგიას დახმარებით ბაქანზე მიზარებული, გორგოლაჭებზე შედგმული გალია მოაგორა და დათუჩას წინ დააყენა.

— შეხედეთ, გალიაში უნდა დაამწყვდიონ საწყალი დათუჩა, — ამბობდნენ თანაგრძნობით პიონერები.

— ახლა კი ძალიან მეცოდება ჩვენი დათუჩა! — თქვა გალიის დანახვაზე მაიამ.

— იქ გაუშვებენ, დედა... იქ ბუნებრივ პირობებში ეყოლებათ ჩვენი დათუჩა... — გაეხმაურა დედას დათო, მაგრამ იგრძნო, რომ ხმა უცნაურად აუკანკალდა და უმალვე დადუმდა, ამხანაგებმა შეუფერებელი გულის აჩუყება არ შემატყონო.

აქ მატარებელმაც მოაკივლა ბაქანს და არ გასულა წუთი, რომ აქოშინებული დადგა თავის ადგილას.



ზოოპარკის თანამშრომელმა გალიის კარი ფართოდ გააღო და დათოს ანიშნა, დათუჩასათვის ჯაჭვი შეეხსნა და კართან დაეყენებინა:

ჯაჭვახსნილ დათუჩას ბიძგი არ დასჭირვებია. რა დაინახა თავის წინ ღია კარი, შიგ სწრაფად შერგო თავი.

სად იყო, სად არა ისარივით გამოქანებული მერცხალა ეძგერა გალიას. მაგრამ გამოცდილმა თანამშრომელმა მისი ცხვირის წინ კარი მაგრად დახშო.

ახლა კი აყეფდა მერცხალა, მეც შემიშვითო. მაგრამ იასონის მკაცრმა ხმამ მოაშორა იგი იქაურობას.

რგოლის წევრებმა და უფროსმა პიონერებმა მაღლა ასწიეს გალია და დანიშნულ ვაგონში თვალის დახამხამებაში შეაგდეს. — ზოოპარკის თანამშრომელიც შიგ შეჰყვა.

მატარებლის დაძვრის წინ პიონერები ბაქნის გასწვრივ ჩამწკრივდნენ.

მატარებელი ნელა დაიძრა.

გაისმა დოლის ცემის ხმა და პიონერულმა სალამმა ბათქივით დაიჭექა.

გასცილდა თუ არა ბაქანს მატარებელი, მერცხალა აედევნა იმ ვაგონს, რომელშიც დათუჩა ჩა-



გასცილდა თუ არა მატარებელი ბაქანს, მერცხალა აედევნა იმ ვაგონს, რომელშიც დათუჩა ჩასვეს.

სვეს. ვერავითარმა მუქარამ და ძახილმა ის ვერ შეაჩერა.

დათო ლიანდაგზე ჩავიდა, რათა პირდაპირი ხაზით ეცქირა მიმავალი მატარებლისათვის. ხელის გული თვალებზე მოიჩრდილა.

მატარებელი მალე თვალს მიეფარა.

დათო ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

მაშინ გოგია და თენგიზი მივიდნენ მასთან. გვერდში ამოუდგნენ. უნდოდათ ეთქვათ «ეხლა კი წავიდეთო», მაგრამ ვერ შეუბედეს, რადგანაც შეამჩნიეს, რომ გულაჩუყებული მეგობარი თვალებზე მომდგარ ცრემლს ებრძოდა, რომ არ ატირებულიყო.

დიდხანს არ მოუხედავს ამხანაგებისაკენ დათოს. მერე უცებ ხელი ძირს ჩამოუშვა და თვალი გაუსწორა მათ. უცნაური ძალდატანებით გამოწვეული ღიმილი უკრთოდა სახეზე.

— მერცხალა რომ არ ჩანს, ამხანაგებო? — თქვა და ისევ იმ მხარეს იბრუნა პირი, საითაც მერცხალა მიიმალა.

— არაფერია, დათო! მალე დაბრუნდება, — დაამშვიდა იგი გოგიამ.

— აბა, სად წავა, — თქვა თენგიზმა.

შორს, შორს გამოჩნდა მერცხალაც. ის უცნაური ტრიალით მოიწევდა ბაქნისაკენ. ხშირად უკან ბრუნდებოდა ყეფითა და წკავწკავით, მერე ისევ ბაქნისკენ გამორბოდა.

* * *

ბაქანზე ჩამწკრივებულ პიონერებს ფეხი არ მოუცვლიათ ადგილიდან. იქვე იყვნენ რგოლის წევრები. დათოს ელოდებოდნენ. დათოს კი ემძიმებოდა ახლა მათთან შეყრა. მაინც ამოვიდა ლიანდაგიდან. ჯერ ამხანაგებთან მივიდა. მადლობა გადაუხადა დათუჩას გაცილებისათვის და თხოვა, ახლა კი უკან დაბრუნდითო. უფროსებს უთხრა, ჩვენ მერცხალას დაველოდებით და წამოვალთო. იმათაც თხოვა უკან დაბრუნება.

პიონერები მწყობრად დაიძრნენ სოფლისაკენ.

შვილის ხასიათის მცოდნე მაია მიხვდა, თუ რატომ უნდოდა დათოს ყველანი ჩამოეშორებინა და თავის ახლობელ მეგობრებთან მარტო დარჩენილიყო.

— ისეთ გუნებაზეა, რომ ჩვენთან ყოფნა არ ესიამოვნება... ჯერ კიდევ ვერ შერიგებია დათუჩასთან განშორებას... წავიდეთ! — უთხრა მან იასონს.

— გასაგებია! — თქვა იასონმაც.

ყველანი სოფლის გზას გაუდგნენ.

კარგა ხანი გავიდა, სანამ მერცხალა ბაქნამდე მოაღწევდა. დათო მოეფერა თავის აქოშინებულ და ენაგადმოვარდნილ მეგობარს. თავზე ხელი გადაუსვა, დაამშვიდა.

— ნუ გეშინია, მალე განახებ შენს დათუჩას, ახლა კი შინ წავიდეთო, — უთხრა. როცა ოთხივენი ქუჩაში გავიდნენ, მოშორებით, მოსახვევთან ბაქნისაკენ აჩქარებული ლასლასით მომავალი ქალი დაინახეს, წელში მოხრილი, მაღალ ჯოხზე დაყრდნობილი, რომელსაც ცალ ხელში მოზრდილი კალათა ეჭირა.

ვერ იცნეს.

უცებ მერცხალა მოწყდა ადგილს და გახარებული ყეფით გავარდა უცნობისაკენ.

— ბებია რუსუდანი! — წამოიძახა გოგიამ.

— ნამდვილად ის არის! —გაიკვირვა თენგიზმა.

დათომ კი ხმა ვერ ამოიღო, ისე გაუკვირდა ბებოს აქ დანახვა.

ბებია რუსუდანი მისგან მოულოდნელი სისწრაფით უახლოვდებოდა მეგობრებს მერცხალას თანხლებით.

— სად არის შენი დათუჩა, შვილო დათო? — მოაძახა შვილიშვილს მოახლოვებისთანავე.

— ბებია რუსუდან, დათუჩა წაიყვანეს! — უპასუხეს მას გოგიამ და თენგიზმა.

— წაიყვანეს!! — გრძლად გაიმეორა რუსუდანმა ისე, რომ დათოსათვის თვალი არ მოუშორებია.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე კი, უბედურმა, საგზალი წამოვუღე... მაშ, მწიფე წყავი ჩამოვრეკე მის საყვარელ ხეზე... მაშ, დავაგვიანე? — ცრემლით გაბზარული ხმით თქვა რუსუდანმა.

მერე ხელი შეუშვა ჯოხსაც, კალათსაც, ფართოდ გაშალა მკლავები და საყვარელ შვილიშვილს გულში ჩასაკრავად უსიტყვოდ უხმო.

დათო გადაეხვია.

რუსუდანმა თავისი გრძელი, გამხმარი თითები ცახცახით მოსდო მხრებზე დათოს და აქვითინებულმა მკერდზე მაგრად მიიხუტა.

— ჩემი ბრალია რომ დათუჩა აღარ გყავს, შვილო... — ძლივს ისმოდა ცრემლმორეული მისი ხმა.

— არა, ჩემო კეთილო ბებია... არა! არ თქვა ეს... — ამბობდა დათო და ცდილობდა ტუჩებზე კოცნით დაეხშო საყვარელი ბებიას სინანულის სიტყვები.



ნაზი კილასონია

# ჩემი თაობის ფრთები

გინახავთ სადმე თქვენ განა
ასე ლამაზი მთები?!
აი, ასეთი ქვეყანა,
აი, ასეთი ფრთები?!

ბაკურიანის ბორცვები,
ფიფქების ცივი ქარი,
ფრთებგამოსხმული ოცნება,
თხილამურები ჩქარი.

ბილიკი — ვიწრო ბაწარი,
მხრებდათოვლილი ფიჭვი
და ზამთრის მზეში დამწვარი
ის შავგვრემანი ბიჭი...

ის გამარჯვებას დაგვპირდა,
როცა სტოვებდა ქალაქს,
ვიცი: ახსლტება ტრამპლინზე
ვიცი: აღმართავს ალამს!

ვიცი: დასრა ბორცვები,
პირველი მიჰქრის ქარში.
მეც მასთანა ვარ ოცნებით,
მინდა დავუკრა ტაში.

თავს ფიფქი გადმეყარა
და სიხარულით ვკრთები...
კარგია ჩემი ქვეყანა,
ჩემი თაობის ფრთები!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბავშვთა გულის მესაიდუმლე

ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა ჩვენი ბავშვების უსაყვარლესი პოეტი შიო მღვიმელი, რომელმაც ქართული მწერლობის დიდ კლასიკოსებთან ერთად ქართულ საბავშვო პოეზიას საუკეთესო ტრადიციები შეუქმნა. შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) დაიბადა ქართლში, სოფელ ბრეთში, 1866 წელს, ღარიბ ოჯახში. პოეტის მამა ილარიონი შრომისმოყვარე ადამიანი იყო, მაგრამ მისი წვრილშვილი ოჯახი მუდამ ხელმოკლედ ცხოვრობდა. ილარიონს საშუალება არ ჰქონდა თავისი შვილები ისე აღეზარდა როგორც უნდოდა. ბავშვებს ცხოვრების გზის გაკაფვა თითქმის თავიდანვე დამოუკიდებლად უხდებოდათ. განსაკუთრებით მძიმე და რთული იყო ცხოვრების ის გზა, რომელიც შიო მღვიმელმა გაიარა. იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როცა მამა გარდაეცვალა და თითქმის სრულიად უპატრონოდ დარჩა. ღარიბ ძმებს სურვილიც რომ ჰქონოდათ, დახმარების გაწევა არ შეეძლოთ. მათ გადაწყვიტეს პატარა შიო შუამთის მონასტერში მიებარებინათ. ამ განზრახვით შიო სოფლიდან გორში ჩამოიყვანეს. მეორე დღეს კახეთის გზას უნდა დასდგომოდნენ, რომ ეს ამბავი გორში მცხოვრებმა ხალხოსნებმა (შიო დავითაშვილი, მიხეილ ყიფიანი და თედო გალუევი) გაიგეს. მათ გადაწყვიტეს ბავშვი თავიანთთან დაეტოვებინათ და საერთო მზრუნველობა გაეწიათ. ამ დროს შიო თოთხმეტი წლისა იყო. მას სასკოლო განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ წერა-კითხვა კარგად იცოდა. დავითაშვილმა და მისმა მეუღლემ მაშინვე დაიწყეს ბავშვის მომზადება. 1881 წლის შემოდგომაზე გორის საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიასთან არსებულ სანიმუშო სკოლაში შეიყვანეს.

ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდა შიო გატაცებით დაეწაფა სწავლას, თავისი სიბეჯითითა და ნიჭით მასწავლებლებს ანცვიფრებდა. არც ერთ წუთს ტყუილად არ ჰკარგავდა, იგი დღე და ღამ მეცადინეობდა; ან გაკვეთილებს სწავლობდა, ან წიგნებსა და გაზეთებს კითხულობდა; ცდილობდა დაკარგული დრო აენაზღაურებინა და თავის ტოლებს დასწეოდა. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა შიოს ტკბილი ოცნება ფრთებს შლიდა, საშინელი უბედურება დაატყდა თავს. 1883-84 წელში მეფის მთავრობამ ხალხოსნების დევნა დაიწყო, დაარბია გორის ორგანიზაცია — ზოგი დააპატიმრეს და ზოგი ქალაქიდან გააძევეს. დაპატიმრებულთა შორის შიოს მფარველებიც მოჰყვნენ. ახალგაზრდა შიო კვლავ უპატრონოდ დარჩა. კეთილი მეგობრების დახმარებით ამ გაჭირვებას შიო როგორმე გაუძლებდა, მაგრამ მაშინვე საოსტატო სემინარია საეჭვო მოწაფეებისაგან გაწმინდეს, და შიოც სასწავლებლიდან გარიცხეს.

სკოლის გარეთ, ქუჩაში უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი მეგობრებმა შეიფარეს. შიო სკოლაში არ დადიოდა, მაგრამ ყველა გაკვეთილს, რასაც მის ამხანაგებს კლასში აძლევ-

დნენ, შინ ამზადებდა. ამას გარდა იგი კვლავ ბევრს კითხულობდა, გულს არ იტეხდა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე სწავლის გაგრძელებას მოახერხებდა. დიდი წვალებით იგი აღდგენილ იქნა ოთხკლასიან საქალაქო სასწავლებელში, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

* * *

შიო მღვიმელი ადრიდანვე მოწინავე საზოგადო მოღვაწეთა წრეში მოხვდა. ამ მოღვაწეთა პროგრესულმა იდეებმა დიდი გავლენა მოახდინეს მომავალი პოეტის მსოფლმხედველობაზე. ამასთან შიო მღვიმელი ქართველი სამოციანელების — ილიასა და აკაკის შემოქმედებაზე აღიზარდა. იგი ახლო იცნობდა და ახალგაზრდობიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ვაჟა ფშაველასთან. ყოველივე ამან ხელი შეუწყო პოეტში მაღალი მოქალაქეობრივ შეგნებისა და პატრიოტული სულისკვეთების გამომუშავებას. შიო მღვიმელს გულს უკლავდა ხალხის მძიმე ხვედრი, მშრომელთა აუტანელი სოციალური ჩაგვრა. მისი პირველი ლექსები გამსჭვალულია სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის ღრმა სიძულვილითა და უკეთესი მომავლის იმედით.

პოეტის მომდევნო სადიდო ლექსებში მკვეთრად აისახა ჩაგრული ხალხის საბრძოლო სულისკვეთება; სოციალურ თემებზე დაწერილი მთელი რიგი მისი ლექსები პოპულარობით სარგებლობდნენ მშრომელ მასებში. 1905 წლის რევოლუციის დროს შიო მღვიმელის ასეთი ლექსები არა ერთხელ უმღერიათ დემონსტრაციებზე და ბარიკადებზე გამოსულ მებრძოლ მუშებს.

მაგრამ ის, რითაც შიო მღვიმელმა დიდი სახელი დაიმკვიდრა ქართული ლიტერატურის ისტორიაში — ესაა მისი საბავშვო პოეზია. შიო მღვიმელი მოწოდებით იყო საბავშვო მწერალი. მისმა ფაქიზმა ადამიანურმა ბუნებამ სრული გაშლა საბავშვო პოეზიაში ჰპოვა. მას სამართლიანად უწოდებენ საბავშვო პოეზიის აკაკის. აკაკივით პოპულარულია იგი ბავშვთა შორის. თითქმის ენის ადგმასთან ერთად სწავლობს ბავშვი შიო მღვიმელის ლექსებს. ბავშვმა ჯერ კიდე წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ პოეტის მსუბუქს, ლაღსა და გულშიჩამწვდომ ლექსებს იგი ზეპირად ამბობს.

შიო მღვიმელის საბავშვო პოეზია გვხიბლავს ნათელი სახეებითა და მდიდარი პოეტური ფერებით. საბავშვო პოეზიაში მან სისადავე, უბრალოება მაღალ პოეტურ დონეზე აიყვანა. საბავშვო ლექსი ინტონაციურად გაამრავალფეროვანა და მუსიკალურად მომხიბლავი გახადა. განსაკუთრებით აღსანიშნავია შიო მღვიმელის შემოქმედების თემატიკური სიმდიდრე. შიო მღვიმელმა არ დასტოვა ბავშვთა ინტერესის სფეროდან არც ერთი საკითხი, არც ერთი საგანი, რომელიც მას თავის ლექსებში არ გაეშუქებინოს. მაგრამ საქმე ისაა, რომ პოეტი ამას აშუქებს არა მშრალი მსჯელობით, უბრალო აღწერით, ზერელე დახასიათებით, ან მომაბეზრებელი მოყოლით, არამედ ცოცხალ, ბავშვისათვის გასაგებ მხატვრულ სახეებში. სწორედ ამით აიხსნება ის მძლავრი ემოციური ზემოქმედების ძალა, რომელიც შიო მღვიმელის ლექსებს გააჩნია.

შიო მღვიმელის პოეზიას სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი პირველი ადგილი საბავშვო მწერლობის კლასიკურ მემკვიდრეობაში. საბჭოთა ადამიანები, ჩვენი ბედნიერი ბავშვები მუდამ უსაზღვრო სიყვარულით მოიხსენებენ შესანიშნავ პოეტს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სამშობლოსა და ხალხის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას, ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს მოახმარა.

ერ. ქარელიშვილი

## შიო მღვიმელის ლექსები

### პაწია მერცხალი

მე პაწია მერცხალი ვარ,
მოჭიკჭიკე, მოაღერსე;
ნეტავი რა დაგიშავე,
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!
სიყვარულით, სიხარულით
მთები, ზღვები გადმოვლესე,
სანამ შენთან მოვიდოდი,
ერთხელაც არ დავიკვნესე.
შორით თვალებს გიკოცნიდი,
ცის ლაჟვარდში ვსრიალებდი,
ვჭიკჭიკობდი, შეგამკობდი,
სულ შენ შემოგტრფიალებდი.
ცხრა-მთა გზიდან მომავალი
მოქანცული, მოღალული
დაბლა-დაბლა ვეშვებოდი,
შენ გეძებდა ჩემი გული.
აი, მოველ, დაგინახე,
გულში ია-ვარდი ვთესე,
ავჭიკჭიკდი უფრო ტკბილად,
ხმები გავიუკეთესე.
გეფიცები და-ძმობასა,
მხოლოდ ეხლა დავიკვნესე:
არ გრცხვენია, უმიზეზოდ
ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე?!

### ადე, ბიჭო, ზაქარია

ადე, ბიჭო, ზაქარია,
წამოფრინდი აბა ჩქარა;
მზე კაშკაშებს, მზე იცინის,
ცამ ღრუბლები გადიყარა.
გვრიტმა, ჩიტმა ჩიორამა
რახანია ფრთა გაშალა,
ტოროლამ კი ღამეს ძილი
უფრო ადრე დაამწყრალა.
მზის სხივები ოქროსფერად
ხუჭუჭ თმაზე გეფინება,
მერცხალიც თავს დაგჭიკჭიკებს,
შენ კი ისევ გეძინება?!
ადე, ბიჭო, ზაქარია,
ადე, ადე, კმარა ძილი!
ერთი კიდევ გადიკითხე
დღევანდელი გაკვეთილი,
თორემ დედას ეწყინება,
დაგიძახებს სიყმეზებნელს;
ზარმაცი და ძილისგუდა
შეჯავრდება მასწავლებელს...
ადე, ბიჭო, ზაქარია,
ადე, ადე, კმარა ძილი!
სკოლისაკენ გასრიალდი
მერცხალივით ფრთაგაშლილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნახ. ო. ჯაფარიძისა

რევაზ ჯაფარიძე

# გატეხილი ღამე *

კალისტრატე მასწავლებელი სიცივემ გამოაღვიძა. საბანი თავზეც წაიხურა და გვერდი იცვალა, მაგრამ მაინც არ დაეძინა. გარეთ შემზარავად ჰქროდა ქარი; წამით მიწყნარდებოდა, თითქოს დღლილ-დაქანცულმა სული მოითქვაო და კვლავ ისეთი ძალით ეძგერებოდა კედლებს. რომ თაროზე შემოდგმული ფაიფურის ფინჯანი წკრიალებდა.

კალისტრატემ საბანი გადაიძრო, ფოსტლებში ფეხები წაჰყო და თვალებდახუჭული განჯინის თაროსთან მიიჭრა. ფინჯანი ბუხრისთავზე შემოდგა. ოდას თხელი, ფიცრული კედლები ჰქონდა, ქარი წელანდელივით აძაგძაგებდა. ფინჯანი ისევ აწკრიალდა.

ფანჯრის ზემო ჩარჩოს გასწვრივ, სადღაც მდინარე ხორიათულის მხარეს მთვარე ქათქათებდა. ყველაფერს ნაცრისფერი, რაღაც ცივი სინათლე დასცემოდა.

ახლა ამაოდ შეეცდებოდა თვალის მოტყუებას კალისტრატე. რა დააძინებდა განათებულ ოთახში! ფეხი ხელახლა წაჰყო ფოსტლებში და ფანჯარას მიუახლოვდა. ჩაყინული მინები აცრემლებულიყვნენ. საცოდავად ბჟუტავდნენ შარაგზის სინათლეები. ქარი ნათურებს აქანავებდა და ეზოში ჩრდილები იკლაკნებოდნენ.

— ფუ, ჯოჯოხეთური ამინდია, ეს დასაქცევი! — ჩაიბურტყუნა კალისტრატემ. იქვე დაკიდებულ პალტოს ხელი წამოავლო და ფანჯარას ჩამოაფარა. ოთახი სიბნელემ მოიცვა.

სველ ფანჯრებზე ხელის ხლებამ და ოთახში გამეფებულმა სიცივემ იგი თანდათან გამოაფხიზლა. ღირდა კიდევ დაწოლა? დაეძინებოდა?

ფოსტლების ტყაპატყუპით კარისკენ წავიდა, მანქვალი გადაატრიალა, მაგრამ სინათლე არ აინთო. ნეტავ რომელი საათია, ასე ადრე რომ ჩაუქრიათო. ისევ სასთუმლისკენ დაიძრა. სკამზე დაწყობილი ტანსაცმელი გადააქოთა. ბოლოს შარვალს მიაგნო და საათი ამოიღო. ისრები სამისნახევარს უჩვენებდნენ. ხელების ფათურით მაგიდის კუთხე მოძებნა და საათი ფრთხილად დადო.

მერე ისევ აწრიალდა. სიბნელეში ფანჯარა მოძებნა, იქვე სურასაც წამოავლო ხელი და წყალი საამო ლიკლიკით დაისხა. დიდხანს სულმოუთქმელად სვამდა. როცა სიბნელეს თვალი შეაჩვია, შუქფარიან ლამპასაც მოუკიდა და მხოლოდ მაშინ გაახსენდა, რომ ჩაუცმელი იყო. ლურჯი და ყავისფერი ზოლებით კუბოკრულად ნაქსოვ შარვალში ფეხი გაუყარა და მაგიდას თვალი მოავლო. კარგა მოზრდილი საათის გვერდით მეექვსეკლასელების საკლასო რვეულები ეწყო. იქვე იდო ილია

* ნაწყვეტი.

ჭავჭავაძის გადაშლილი ტომი და ბწკალებგაჩაჩხული რქის სათვალე, რომელსაც კალისტრატე მასწავლებელი მხოლოდ ლამპის შუქზე კითხვის დროს ხმარობდა. მაგიდის მეორე კუთხეში, უსწორმასწოროდ გადაფარებულ გაზეთის ქვეშ მოჩანდა მანეულის წნელით დაწნული საპურე თეფში და ლამბაქზე შემოდგმული ჭიქა.

მას შემდეგ, რაც კალისტრატე მასწავლებელმა ერთადერთი შვილი დაჰკარგა, მარტოდმარტო ცხოვრობდა და თუმცა ჯერ კიდევ ომამდე აშენებული ოდა-სახლი ექვსი თვალისაგან შესდგებოდა, მარტო ამ განაპირა ოთახში დაედო ბინა. დანარჩენ ოთახებში გზად თუ გაივლიდა. აქ მუშაობდა, გვიან ღამით აქვე იძინებდა. მუდამ მხნესა და ჯანღონით სავსეს ბოლო ხანებში რევმატიზმი შემოეჩვია. ექიმები ამბობდნენ რევმატიზმი გულის ცუდ მუშაობას მოწმობსო. სტკიოდა ხან მუხლები, ხან წელი და ლოგინზე მწოლარეს ხშირად განძრევაც უჭირდა. კალისტრატე გამოამინდებისთანავე მოიკეთებდა, კიდევ უბრუნდებოდა თავის გოლიათური ღონე და წელში ძველებურად იმართებოდა.

მასწავლებლობა ოცდაერთი წლისას დაეწყო და მთელი ამ ხნის განმავლობაში ხანგრძლივი დროით სოფელს არ გასცილებოდა. ბევრგან მიიწვიეს უკეთეს ადგილზე. ფეხი არ მოიცვალა. კაცი მუშაობას ნუ დაიზარებს, თორემ საქმე აქაც ყელამდისააო. და ისიც არ იზარებდა. დღესა და ღამეს ასწორებდა. რვაწლიანსა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს სკოლაშიც ასწავლიდა. ყოველდღიურად დარჩენილ ორიოდე საათს ეზოში მუშაობდა, ხოლო როდესაც მოწაფეებს არტელის მინდვრებში გაიყვანდა, შესაფერი ხელსაწყოც თან მიჰქონდა, თოხნა იყო — თოხი, მკა იყო — ნამგალი, თივის გროვება ან გადაბრუნება იყო — ფიწალი. თვითონ გვერდით ამოუდგებოდა ყმაწვილებს და ბიჭი იყავი, ჩამორჩენა გაგებედა!

გლეხკაცის სწრაფი მოსაზრებულობა ჰქონდა კალისტრატე მასწავლებელს. ეს მოსაზრებულობა მკაცრი ხასიათით და შეუპოვრობით იყო გამაგრებული. თუ რაიმეში დამნაშავედ გთვლიდა, არც პირში და არც ზურგსუკან არ დაგინდობდა. მერე ისეთი ენა ჰქონდა, ისეთი დამარწმუნებელი, ოდნავ მაღალფარდოვანი ლაპარაკი იცოდა, რომ, თუ მოიწადინებდა, ბალახს გაახმობდა დედამიწაზე. ცოტას როდი მოხვედროდა მისი მწარე ენა, ცოტასთვის როდი აეწვა კუდი. ამიტომ მოყვარეც ბევრი ჰყავდა და მტერიც. თუ ვინმე ენას მოუტანდა, შენზე ასე და ასე თქვესო, იმ კაცს გალანძღავდა, შე უსინდისო, ენა რისთვის მომიტანე, ენის წიალი რა ვაჟკაცის საკადრისიაო.

მოსწავლეებისათვის გასაოცარი ის იყო, რომ სიმკაცრით განთქმულ კალისტრატე მასწავლებელს დროდადრო სიმტკიცე ღალატობდა, განსაკუთრებით ისეთი ადგილების ახსნისას, როგორიცაა ოთარაანთ ქვრივის მარტოდ დარჩენა შვილის ცხედართან. შუა საუბარში ხმა გაებზარებოდა და ენა ველარ მოებრუნებია. მოწაფეები ხვდებოდნენ, რომ მოხუცი მასწავლებელი ამ დროს თავის მფრინავ პირმშოზე ფიქრობდა. ეცოდებოდათ საბრალო მოხუცი. გაოგნებული ონავარი ყმაწვილები გულის კანკალით შეჰყურებდნენ საყვარელ მასწავლებელს. აბა ნუგეშს ვინ გაბედავდა!

ახლა მძიმედ დააბიჯებდა თავის განმარტოებულ ოთახში კალისტრატე მასწავლებელი. პირსახოცს დაეძებდა, თუმცა ეს უკანასკნელი კართან ეკიდა, ლურსმანზე. თუნგულით წყალი გაიტანა. ორიოდე პეშვი სახეზე შეიშხაპუნა. წინა ოთახში რაღაცას წამოედო და კინაღამ დაეცა. ხელით მოსინჯა. ფქვილიანი ტომარა იყო, — წინა დილას მეწისქვილის ბავშვს ამოეტანა.

კიდევ ბევრი აკლდა გათენებას. დილის თერთმეტ საათამდე გაკვეთილი არ ჰქონდა. მაგიდას მიუჯდა, წიგნი დახურა და ერთხელ უკვე გადაკითხული რვეულები წინ დაიწყო.

„იმ დროს საქართველოში კაპიტალიზმი შემოვიდა...“ — იწყებდა ერთი. გადაფურცლა, ისევ თავს დაუბრუნდა. „კაპიტალიზმი ცუდი იყო, რადგან“... — განაგრძობდა მოწაფე.

კალისტრატეს გაუკვირდა. ნაწერი გადაკითხული ჰქონდა, მაგრამ ეს გამოთქმები აღარ ახსოვდა. ერთი ვნახოთ რით იყო ცუდი კაპიტალიზმი?!

„კაპიტალიზმი ცუდი იყო, რადგან გაჩნდა გაუტანლობა. მემამულეები მიწებს ყიდიან...“ — წერდა მოწაფე.

— ჰმ, აი, ბატისტვინა! — ჩაიცინა მასწავლებელმა, — თურმე კაპიტალიზმი იმიტომ იყო ცუდი, რომ მემამულეები მიწას ყიდდნენ! მე შენ მოგცემ მემამულეებს!

გაჯავრებულმა წითელი მელანი მოძებნა. „შემოვიდას“ ხაზი გაუსვა, ფურცლის მინდორზე კი გაკრული ხელით მიაწერა: „შემოვიდა რა, ცხენი იყო თუ?“ მეორე წინადადებასთან კი ჩაინიშნა: „გაუტანლობა ადრეც იყო! ის უტვინო მემამულეები მიწას ახლაც ყიდიან?“

ჩაყვა ბოლომდე. ფურცლის კიდეები შენიშვნებით ააჭრელა.

— ქართულს არა უშავს, მოაზრებაში კოჭ-

ლობს, — ჩაილაპარაკა, როცა უკანასკნელი ბწკარიც წაიკითხა, „დამაკმაყოფილებელი“ დაუსვა და თავისებური გაკრული ასოებით ხელი მოაწერა. მერე რვეულის ყდას დახედა.

— თეოფილეს ვაჟბატონისაა. ეშმაკობის მეტი არაფერი ახსოვს, — თქვა მან და სხვა რვეული გადმოშალა. ბოლოს მანანა სივსივაძის ნაწერიც მოხვდა ხელში.

„იმ დროისათვის საქართველოში კაპიტალიზმი შემოიჭრა“ — იწყებდა მანანა.

კალისტრატე გაჯავრდა. ხელახლა მოძებნა „თეოფილეს ვაჟბატონის“ რვეული. გადაუწერია! უსინდისოდ გადაუწერია! მხოლოდ აქა-იქ შეუცვლია ორიოდე სიტყვა, ისიც უხეიროდ. ვაი, ასე დაგიმშვენდა ცხვირპირი! — მწარედ გაეღიმა კალისტრატეს. — პირწმინდად ჩაყოლია ეს ჭინკის მოციქული. რვეულიდან თავი აიღო და თვალწინ შოთას წითელი თავი წარმოუდგა, ჭროღა თვალებს რომ აბრიალებდა და უსიტყვოდ ანიშნებდა მფრთხალ მანანას: „ნიდაყვი, გოგო, ნიდაყვი!“

— აი შენი ნიდაყვი კი გაქრა, შე არამზადავ, შენა! — თქვა კალისტრატემ და მაგიდაზე სარკესავით დაყუდებულ სურათს უკან პაპიროსი მოძებნა. ბოლში გახვეული მცირე ხანს ფოტოსურათს უყურებდა, მერე მზერა ისევ რვეულზე გადაიტანა, ოღონდ ახლა აღარ კითხულობდა. თავი ფიქრისთვის მიეცა.

— ახალგაზრდობა მოდის, — ჩურჩულებდა იგი თავისთვის, — ახალგაზრდობას გზის გაკაფვა სჭირია ერთი ამაშია ფხიზელი, მეორე იმაში. ყველაფერში სიფხიზლე კია საჭირო. ისწავლიან, მერე დაიფანტებიან, წავლენ, წამოვლენ...

კალისტრატემ კვლავ სურათს შეხედა და, თითქოს, მას უთხრა: მაშ!

სურათზე გამოხატული ახლადწვერულვაშშლილი ჭაბუკი კი მდუმარედ შესცქეროდა მამის ხმელ, ოდნავ წინ წამოწეულ ნიკაპს. ნიკაპი თვითონაც წამოეწია, თითქოს კალისტრატეს აჯავრებდა. მოხუცს თავისი ძველი მოწაფეები გაახსენდა. მაქსიმე ბერიშვილი ახლა დონის როსტოვში ცხოვრობს. რომელიღაც დიდი ქარხნის მთავარი ინჟინერია. აჰაუ, რა დიდი დრო გავიდა! ახლა ისიც ჭაღარაშერეული იქნება. ამხანაგივით დაუწყებს ლაპარაკს თავის ძველ მასწავლებელს. შალვა გველესიანი მეცნიერებათა დოქტორია. თბილისის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. ვალიკო დემეტრაძის წერილი ხაბაროვსკიდან მოუვიდა გასულ წელს.

კალისტრატემ წიგნის თაროსთან მიირბინა, დასტა-დასტად დაწყობილი გამოშვების სურათები გადმოაქოთა. ლამპა ტახტზე ჩამოდგა და თვითონაც იქვე მოიკეცა.

კალისტრატე სათუთად იღებდა სხვადასხვა ზომის მუყაოზე დაკრულ ფართო, ოთხკუთხა სურათებს და აკანკალებული ხელით მტვერს აცილებდა. ზოგან ჯგუფ-ჯგუფად ისხდნენ უცნაურად დაბღვერილი შავტუხა ბიჭები და წარბებქვემოდან მორიდებით იყურებოდნენ, თითქოს არც სჯეროდათ და კიდეც სჯეროდათ, რომ ფოტოგრაფის შალითაგადაფარებულ ყუთიდან ჩიტი გამოფრინდებოდა. გოგონებისათვის თმა სასაცილოდ შეეკრიჭათ. კიკინების ზემოთ კიდევ ეტყობოდათ დედის მაკრატლის ნაცოდვილარი. ზოგი სურათი მთლიანად გაყვითლებულიყო. ნაცნობ სახეებს გაჭირვებითღა გაარჩევდა ადამიანი. სად არის ახლა ნეტავ ეს ხალხი, ერთი სკოლის ორმოცდაორი თაობა? ერთნი დიდი ხნის წინათ გასულან მეცნიერების უსიერ ტყეებში, გაბედულად მიიწევენ წინ, კაფავენ გაუვალ ღრიანკელს, მიაბიჯებენ ბრძოლაში გათეთრებულნი. მეორენი — უმცროსები და კიდევ უფრო უმცროსები, მხოლოდ ახლა იდგამენ ფეხს, მშობლიურ ბუდიდან გადმოფრენას ლამობენ. ნეტავი თქვენი თავი დაანახვა ახლა თქვენს მოხუც მასწავლებელს! ასეთები კი არა, როგორც აქა ხართ, სურათში, აი სწორედ ისეთნი, როგორც ახლა გამოიყურებით. აბა უთხარით კალისტრატე მასწავლებელს, რომელმა უფრო ასახელა თქვენს შორის, რომელი უფრო შორს გაფრინდა. ეს კი უნდა იცოდეთ თქვენ, ყმაწვილებო, რომ კალისტრატე მასწავლებელთან ყველაზე ახლოს ის არის, ვინც უფრო შორს გაფრინდა, მაშ! საქმეში შეჭრაზე მოგახსენებთ, თორემ მართლა ფრენა კი არ გეგონოთ. თქვენს შორის ერთი მფრინავი იყო, ის მართლა ყველაზე უფრო შორს გაფრინდა. ისეთ გაფრენას მე თქვენ არ გისურვებთ, შვილებო. იმასთან მტერი გაფრინდეს.

— აბა, წინ წამოდექ გველესიანო და მომიყევი, რა უპასუხა კაკომ, როცა ზაქრომ თქვა: „მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა და შეუნგრია გულის ფიცარიო“. სწორედ მიითხარ, მისი სიტყვებით. ილია ჭავჭავაძეს შენი გასწორება არ სჭირდება. აგრე! გცოდნია. თორემ მე იმას არ დაგიდევ, რომ ახლა შენ პროფესორი ხარ. ხომ იცი ჩემი ხასიათი!

დიდხანს ფურცლა ასე კალისტრატე მასწავლებელმა თავისი უძვირფასესი საუნჯე, ბოლოს უკანასკნელი სურათი ხელიდან გაუვარდა და იქვე, მჯდომარეს ჩასთვლიმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ნოსოვი

ნახ. ალ. ბანძელაძისა




6604

ქუჩაში ერთი ტანმორჩილი, წელში მოხრილი მოხუცი ქალი მოდიოდა, რომელსაც შავი, ხავერდის საყელოიანი ძველი მოდის პალტო ეცვა, ასეთივე შავი ხავერდის ქუდი ეხურა, საიდანაც ჭაღარა თმები მოუჩანდა, და ხელჩაკიდებული მოჰყავდა ხუთიოდე წლის გოგონა. პატარას ცისფერი, ხალისიანი მოკლე კაბა ეცვა, სულ ყვითელი ნამგალა მთვარეებით მოჩითული, და გულზე თეთრი წინსაფარი ეფარა. რომელზედაც წითელი კურდღელი ჰქონდა ამოქარგული. ხტუნვა-ხტუნვით მოკუნტრუშობდა გოგონა და სულ იმის ცდაში იყო, სირბილის დროს ფეხები მოეკეცა და ბებიამისს ხელზე ჩამოჰკიდებოდა.

— ნელა, ნინიკო, ნელა! ასე ხომ წაიქცევი! — უმეორებდა ბებია.

— წაიქცევი? რატომ წაიქცევი? — ეკითხებოდა ნინიკო, თან გულიანად კისკისებდა, რადგან ძალზე სასაცილოდ ეჩვენებოდა ის ამბავი, რომ ასე პატარა გოგონას დიდი ბებიას წაქცევა შეეძლო.

— სად შემიძლია, გენაცვალე, იმდენი, რომ დაგიჭირო, — უხსნიდა ბებია.

— აბა, ძია ფედიას რომ შეუძლია!

— გაგანებივრა ძია ფედიამ და ეგაა! — ალერსით ჩაიბუზღუნა ბებიამ. — ძია ფედია, ხომ ხედავ, რა ღონიერია!

— რატომაა ღონიერი?

— იმიტომ, რომ ახალგაზრდაა.

— შენ კი არა ხარ, ბები, ახალგაზრდა?

— არა, ჩემო გვრიტო, დავბერდი უკვე.

— რატომ დაბერდი? ბევრი ხანია ცხოვრობ?

— ბევრი ხანია, ჩემო სიცოცხლევ, ბევრი.

მოხუცი ქალი ჩაფიქრდა ამ სიტყვებზე, მერე გაეღიმა, მაგრამ უეცრივ ღიმი შიშის გამომეტყველებით შეეცვალა.

— ვაიმე, იმდღევანდელივით შინ ხომ არ დამრჩა წერილი?

ნინიკოს მოაგონდა ის სასაცილო შემთხვევა და გადიკისკისა, ბებიამ კი ტყავის ჩანთა გახსნა, რომელიც იღლიაში ჰქონდა ამოდებული და წერილის ძებნას შეუდგა.

ამ მოხუცის ვაჟი — ნინიკოს მამა — ძალიან შორს, ჩრდილოეთში იყო მფრინავად. აგერ მთელი წელია რაც შინ არ ყოფილა და წერილიც სწორედ მისთვის უნდა გაეგზავნათ. თითქმის ყოველ კვირას იღებდნენ ისინი ნინიკოს მამისაგან წერილს; პასუხის მისაწერად მთელი ოჯახი შემოუსხდებოდა ხოლმე მაგიდას. სიმართლე რომ ითქვას, წერილს ნინიკოს დედა წერდა, მაგრამ ნინიკოც და ბებიაც მუდამ ესწრებოდნენ ამ ამბავს და თავის მხრივაც ეუბნებოდნენ, რა დაეწერა. ასე რომ იმის თქმაც შეიძლებოდა, წერილს ყველა ერთად სწერსო. მეორე დღეს დედა სამსახურში მიდიოდა, ნინიკოსა და ბებიას კი წერილი ფოსტაში მიჰქონდათ.

— აგერ არ ყოფილა?! — გულზე მოეშვა ბებიას, როცა ჩანთიდან ლურჯი კონვერტი ამოაძვრინა. — მე კი მეგონა, ისევ შინ მომიხდებოდა დაბრუნება.

ფოსტაში ნინიკოსთვის საინტერესო არაფერი აღმოჩნდა. იქ ყველა გადატიხრულს იქით მუშაობს. ამიტომ, სულ ერთია, რამდენიც არ უნდა ეცადო, მაინც ვერ დაინახავ, როგორ გზავნიან წერილებს. მაგრამ ნინიკო მაინც მოთმინებით ელოდა, სანამ ბებია წერილს ჩააბარებდა და ქვითარს მიიღებდა.

უკან დაბრუნებისას გასავლელი ეზოებით გამოიარეს და ნასახლარებზე გამოვიდნენ. წინათ აქ პატარ-პატარა ხის სახლები იდგა თურმე, ახლა მობინადრეები ახალ, დიდ შენობაში გადაეყვანათ, ამ ადგილზე კი პარკის გაშენება გადაეწყვიტათ, რათა ყველას შეძლებოდა აქ მოსვლა და სუფთა ჰაერით დატკბობა. თუმცა ჯერჯერობით პარკი არ იყო გაშენებული, მაგრამ იმასაც მალე გააკეთებდნენ. ამ ნასახლარების ერთ კუთხეში ძველი რკინეულობა ეყარა, რომლის წაღება დავიწყნოდათ. აქ ეყარა დაჟანგული თუნუქის მილების ნაჭრები, ორთქლის რადიატორის ნამსხვრევები, დახლართული რკინის მავთული და კიდევ სხვა ბევრი რამ.

— აფსუს, ბიჭებმა არ იციან, სადა ჰყრია რკინის ჯართი. კარგი იყო პიონერებისთვის გვეჩვენებინა, — თქვა ბებიამ.

— პიონერებს რად სჭირდებათ, ბები, ჯართი?

— განა არ იცი, ეგენი რომ სულ ეზო-ეზო დარბიან, ჯართს აგროვებენ და მერე სახელმწიფოს აბარებენ?

— სახელმწიფოს რისთვის უნდა?

— იმიტომ, გენაცვა, რომ მერე ქარხნებში აგზავნიან ხოლმე, იქ ხელახლა გადაადნობენ და ახალ-ახალ რამეებს ამზადებენ.

— რას ამზადებენ?

— არ იცი, რას ამზადებენ რკინისგან?

— დანებს?

— დანებიც შეიძლება გაკეთდეს, ჩანგლებიცა და კიდევ სხვა დიდი მანქანებიც.

— რა მანქანები? ავტომობილსაც გააკეთებენ?

— მაშ, ავტომობილის გაკეთებაც შეუძლიათ.

— მერედა, ვინ ავალებს პიონერებს, ჯართი შეაგროვეთო?

— არავინაც არ ავალებს, ისინი თავისი სურვილით აგროვებენ. ამით ხომ დიდებს ეხმარებიან.

-- მამაჩემიც იყო, ბებია, პიონერი?

---

იბეჭდება შემოკლებით.

— რასაკვირველია, თყო.
— ისიც აგროვებდა ჯართს, როცა პიონერი იყო?
— აგროვებდა, მაშ.
— აბა როგორ გახდა მფრინავი?
— როცა მამაშენი პატარა იყო... —დაიწყო ბებიამ ამბავი.
— ჩემხელა?
— არა, უფრო დიდი. ჰო და, როცა მამაშენი პიონერი
იყო... იმ ხანებში ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში გემი დაი-
ღუპა. იმ გემს „ჩელიუსკინი“ ერქვა. ყინულები გარს შემო-
ერტყნენ თურმე გემს, უზარმაზარი ყინულის მთები არაჩვეუ-
ლებრივი ძალით აწვებოდნენ ყოველი მხრიდან გემს. გემის
კორპუსი სულ დახვრეტილა. ადამიანები თავგანწირვით მუ-
შაობდნენ, რომ ის ნახვრეტები ამოექოლათ. ბოლოს ყინუ-
ლებმა მაინც გასრისეს გემი და ისიც ჩაიძირა, ხოლო ადა-
მიანებმა მოასწრეს და ყინულზე გადავიდნენ. კარგად
იცოდნენ, რომ საბჭოთა ხალხი არ დაივიწყებდა მათ,
უთუოდ მიეშველებოდა. მართლაც ადამიანების საშვე-
ლად გაფრინდნენ ჩვენი მამაცი მფრინავები. გადაიფრინეს
ათასი ვერსი, მიჰქროდნენ ქარიშხალსა თუ ქარბუქში
და ყველა უკლებლივ გამოიყვანეს ყინულიდან. არც ერთი
კაცი არ დაღუპულა. მაშინ ყველა გაზეთში სულ მათი
გმირობის ამბავსა წერდნენ, ყველა ამაყობდა ამ გულადი
ადამიანებით, ყველას პირზე ეკერა მათი სახელი. ჰოდა, მამა-
შენმა მაშინ თქვა: „რომ გავიზრდები, მეც მფრინავი გამო-
ვალ და მათსავით ხალხს გადავარჩენო“. რომ გაიზარდა, კი-
დეც შევიდა საფრენოსნო სკოლაში, მფრინავი გახდა.

— ბები, როცა სკოლაში წავალ, მეც პიონერი ვიქნები?

— იქნები, გენაცვალოს ბებია, იქნები.

— რომ არ მიმიღონ?

— როგორ არ მიგიღებენ! თუ ჭკვიანი გოგო იქნები, უეჭველად მიგიღებენ.

— მე, ბები, უთუოდ ჭკვიანი ვიქნები!

ქუჩის კუთხეში ბებიამ ნინიკოს ლვეზელი უყიდა. სანამ ნინიკო ლვეზელის ჭამაში იყო გართული, ბებიამ ცოტა მოისვენა მისი შეკითხვებისაგან.

## 2.

ნინიკოსა და ბებიას ფოსტაში ყოფნის შემდეგ რამდენიმე დღემ გაიარა. ერთხელ ნინიკო ეზოში თამაშობდა. ბავშვები სკოლიდან ჯერ არ იყვნენ დაბრუნებულნი და ნინიკოსაც მოსწყინდა მარტო თამაში. უეცრად თვალი მოჰკრა, რომ ეზოში ორმა უცნობმა ბიჭმა შემოირბინა. ერთი უფრო მაღალი იყო, გრძელი შარვალი და მეზღვაურის ლურჯი ქურთუკი ეცვა, მეორე ბიჭი ყავისფერ ხავერდის კოსტუმში იყო გამოწყობილი, მოკლე შარვალი მუხლქვემოთ ღილებით ჰქონდა შეკრული. წაღები შავი კი არა, ქლალი ფერისა ეცვა, ეტყობოდა, ჩვეულებად ჰქონდა შიგ ტლაპოში სიარული და წაღების წმენდისთვის მაინცდამაინც თავს არ იწუხებდა. ნინიკოს ზედაც არ შეხედეს ბიჭებმა, ისე ჩაუქროლეს გვერდით, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, ლოყები დაწითლებოდათ. ასე შემოირბინეს მთელი ეზო, ყოველი კუნჭული დაათვალიერეს; იფიქრებდი, რაღაც დაჰკარგვიათ და იმას ეძებენო. ბოლოს, რომ ვერაფერი ნახეს, შუა ეზოში გაჩერდნენ.

— აკი გეუბნებოდი, ვერაფერსაც ვერ ვნახავთ-მეთქი! — უთხრა მაღალმა ბიჭმა მეორეს.

მეორემ ცხვირი აიცმაცუნა, კეპკა კეფაზე მოიგდო და ამის პასუხად უთხრა:

— უნდა ვეძებოთ, ვალერიკ, სადმე მაინც ვნახავთ.

— კი, როგორ არა, ნახავ! — ჯავრით ჩაიბუტბუტა ვალერიკმა.

— მაშ, შენი აზრით, სულაც არ მოვძებნოთ?

ბიჭები ალაყაფის კარისკენ გაბრუნდნენ.

— ბიჭებო! — დაუძახა მათ ნინიკომ.

ბიჭები ალაყაფთან შეჩერდნენ.

— რკინეულობას ხომ არ ეძებთ? — ჰკითხა ნინიკომ და ალაყაფის კართან მიირბინა.

— მერე შენ ვითომ რა?

— მე ვიცი, სადა ჰყრია ბევრი რკინა.

— საიდან იცი?

— ვიცი.

— არაფერიც არ იცი.

— არა, ვიცი.

— აბა, თუ აგრეა, გვაჩვენე, სადაა შენი რკინები!

— ის აქ არაა. აი, იმ ქუჩით უნდა წავხვიდეთ, მერე იქით შეუხვიოთ, მერე კიდევ მოუხვიოთ, მერე გასავლელი ეზოთი გავხვიდეთ, მერე... მერე...

— ზედვე ეტყობა, სტყუის, — თქვა ვალერიკმა და დამცინავი ღიმილით გადახედა ამხანაგს.

— სწორედაც არა ვტყუი! — იწყინა ნინიკომ. — გინდათ, იქ წაგიყვანოთ?

— კარგი, წაგვიყვანე.

— მაშ მომყევით! — უთხრა მათ ნინიკომ და გულდაგულ დაადგა გზას.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩაიცინეს.

— რას იტყვი, საშკა, წავყვეთ? — ჰკითხა ვალერიკმა მეგობარს.

საშკამ მხრები აიჩეჩა:

— რომ მოგვატყუოს?

— მერე რა, სულ ერთი არაა? მაინც ტყუილად ვკარგავთ დროს!

ბიჭები სწრაფად დაეწიენ ნინიკოს და უკან გაჰყვნენ. თავი ისე ეჭირათ, თითქო ცალკე მიდიან, ამ გოგონასთან არავითარი საქმე არა აქვთო.

— შეხე, ბიჭო, რა დიდი ქალივით მიაბიჯებს! — ეუბნებოდა ვალერიკი, წინ მიმავალ ნინიკოს რომ უყურებდა.

— მაინც რა სასაცილოდ აცმევენ გოგონებს! — მსჯელობდა თავის მხრივ საშკა. — მოკლე კაბას ჩააცმევენ, ისე რომ ტიტლიკანა ფეხები სულ უჩანთ.

— ჩემთვის რომ ასეთი კაბა ჩაეცვათ, ცხვირსაც ვერ გამოვყოფდი გარეთ! — დააყოლა ვალერიკმაც.

— ისე ჰგავს, თითქო მართლა იცის, სადაა რკინები.

— რა, გგონია, საშკა? იქნებ იცოდეს კიდეც, — მიუგო ვალერიკმა.

— ეი, გამიგონე! — დაუძახა საშკამ ნინიკოს. — ბევრი რკინები ჰყრია იქა? იქნებ ერთი დამტვრეული ქარცახის გარდა არაფერია?

— იმდენია, თქვენ ორიც ვერ წამოიღებთ.

— ზღაპარია! — უთხრა ამაზე ვალერიკმა. — ჩვენ, ორივე, რამდენსაც გინდა, იმდენს წამოვიღებთ. იმიტომ, რომ ლონიერები ვართ, მაშ!

— აჰ, რა კარგი იქნება, მართლაც ბევრი იყოს! — ინატრა საშკამ. — ამას წინათ იგორმა და ვადიკმა ხუთიოდე კილო მოათრიეს და ახლა თავი მოაქვთ. მეტი არ მინდა, ნეტავ იმათ ნორმას გადავაჭარბებდეთ!

ნინიკო ერთ ალაყაფის კართან გაჩერდა. დაკვირვებით შეათვალიერა იგი და შიგ შევიდა. ბიჭებიც შეჰყვნენ, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ. ასე შემოიარეს მთელი ეზო და ისევ ქუჩაში გამოვიდნენ.

— რა იყო, ვერ ნახე?

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მაგრად მოგვცხე, მაგრად,—ეუბნებოდა საშკა,—ხომ ხედავ, ცხენებს ძალა გამოელიათ...

— არა, ეს ეზო არაა. მეგონა, გასავლელი იქნებოდა. იქნებ ამის გვერდითაა.

მეზობელ ეზოშიც შევიდნენ, მაგრამ არც ის გამოდგა გასავლელი. მესამე ეზოში იგივე ამბავი განმეორდა.

— კი მაგრამ როდემდე უნდა ვიწანწალოთ ასე ეზოეზო? — აბუზღუნდა საშკა.

ბოლოს, მეოთხე ეზო გასავლელი აღმოჩნდა. ბავშვებმა გაიარეს ეს ეზო, გაიარეს ვიწრო შესახვევი, მერე განიერ ქუჩაზე გავიდნენ და იმას გაჰყვნენ. კვარტალი რომ გაიარეს, ნინიკო ისევ შეჩერდა და განაცხადა: მგონი იმ მხარეს არ მივდივართო.

— ეს რა გამოთაყვანებული ვინმე ყოფილა! — თქვა მოთმინებიდან გამოსულმა ვალერიკამ.

— აკი ვამბობდი, არავითარი რკინები არ არის, სულ ტყუილია-მეთქი! — ცხარობდა საშკა.

— მოიცა, ნუ უყვირი, — შეაჩერა ის ვალერიკამ, — აბა, გაიხსენე, სად წახვედი იმის შემდეგ, რკინები რომ ნახე?

ნინიკომ შუბლი შეიჭმუხნა და დაფიქრდა:

— მე და ბებია შინისკენ წავედით, მერე ბებიამ ლვეზელი მიყიდა. გზაში ვჭამდი და ისე მივდიოდით...

— იქნებ გინდა, ლვეზელიც გიყიდოთ? — ეჭვი შეეპარა საშკას.

— არა.

— იცი, საშკა, ეგ კარგი აზრია! — წამოიძახა უეცრად ვალერიკამ.

— რა აზრი?

— მოდი და მართლა ვუყიდოთ ლვეზელი. შეჭამს და იქნებ მოიგონოს.

— ეს ვითომ რატომაო? — დაცინვით ჰკითხა საშკამ.

— არ გესმის? თუკი მისი ორგანიზმი ისეთივე პირობებში მოხვდება, როგორშიც მაშინ იყო, როცა რკინები ნახა, შეიძლება მოიგონოს კიდეც.

— ჰმ! — ეჭვით ჩაიფრუტუნა საშკამ. — ფული გაქვს?

მეგობრებმა ჯიბეები მოიჩხრიკეს და რამდენიმე შაური ალმოაჩინეს. მერე ფარდულისკენ მიბრუნდნენ, რომელიც კუთხეში იდგა, და ნინიკოს მურაბიანი ლვეზელი უყიდეს. ნინიკო ლვეზელის ჭამას შეუდგა, მეგობრები კი თავს ადგნენ და. გამომცდელი თვალით დაჰყურებდნენ.

— შენ ტყუილად კი ნუ ილუკმები! ეცადე, მოიგონო, რკინები სადაა, — არიგებდა საშკა ნინიკოს.

ბოლოს ნინიკომ ჭამა გაათავა.

— აბა, რას იტყვი? — ჰკითხა ვალერიკამ.

— შევჭამე.

— „შევჭამე"! — გამოაჯავრა ვალერიკამ. — უშენოდაც ვხედავ, რომ შეჭამე. იმას გეკითხები, თუ მოიგონე?

— ვერა.

— ეჰ, შენ რა გითხარი! — უსაყვედურა საშკამ პატარას.— სულ ტყუილად გავაფუჭეთ ლვეზელი შენი გულისთვის... წამო, წამო, შინ წავიდეთ! შენთან ცოდვილი რა ხელს მოგვცემს.

სამივენი უკანვე წამოვიდნენ.

— ამ პრანჭიას გულისთვის რამდენი დრო დავკარგეთ ტყუილად! — ბუტბუტებდა საშკა თავისთვის.

ისევ იმ გასავლელ ეზოში დაბრუნდნენ ბავშვები. ვალერიკამ ის იყო ალაყაფის კარში დააპირა შესვლა, რომ ამ დროს ნინიკო შეჩერდა და წამოიძახა:

— მგონი, მომაგონდა, სადაც არის. აი, იქ უნდა შევიდეთ.

— სად იქ, კარგადა თქვი! — უთხრა გაჯავრებულმა საშკამ.

— აი, პირდაპირ რომ გასავლელი ეზოა. ახლა მომაგონდა. მე და ბებიამ ორი გასავლელი ეზო გავიარეთ მაშინ, ჯერ ამაში გავედით და მერე იმაში...

საშკამ ვალერიკს გადახედა.

— ვითომ წავიდეთ?

ბავშვები გავიდნენ შესახვევის მეორე მხარეს, გაიარეს ის გასავლელი ეზოც და ნახახლარზე ამოჰყვეს თავი.

— აგერ არ არის რკინა?! შეხეთ, შეხეთ, აგერაა! — შეხძახა ნინიკომ.

ვალერიკი და საშკა რკინეულობისაკენ გაქანდნენ. ნინიკოც ხტუნვა-ხტუნვით მისდევდა მათ და გახარებული გაიძახოდა:

— აკი გეუბნებოდით! ხომ მართალი გითხარით?

— ყოჩაღ! — შეაქო იგი ვალერიკმა. — მართალი გითქვამს. რა გქვია?

— ნინიკო. თქვენ რა გქვიათ?

— მე ვალერიკი, ამას კი საშკას ეძახიან.

— „საშკა" აბა როგორ შეიძლება, უნდა საშა დაუძახო! — გაუსწორა ნინიკომ.

— ერთი ამას დამიხედეთ, ვინა ყოფილა! — ჩაიფრუტუნა ვალერიკმა. — არა უშავს, მაგას არა სწყინს.

ბიჭები ფიცხლავ შეუდგნენ დაჟანგული მილებისა და რადიატორის ნამტვრევების გადაწყობას. რკინებს მიწა წაჰყროდა და ბიჭები ძლივძლივობით, ხვნეშით აძრობდნენ იქიდან.

— ეს რა ჯანდაბაა! — სულ ილანძღებოდა საშკა. — პირდაპირ მიწაშია ჩამძვრალი.

— აქ მართლაც ბევრი რკინაა, ჩვენ ორნი ამდენს ვერ მოვერევით, — უთხრა ვალერიკმა ამხანაგს.

— მერე რა, აგერ იქ რომ რკინის ფურცელი გდია, იმაზე დავყაროთ, მავთული გამოვაბათ და ისე წავიღოთ, — ხელად იპოვნა გამოსავალი საშკამ.

მართლაც მთელი რკინეულობა იმ რკინის ფურცელზე დაშყარეს, მერე ორი მავთულიც მოაბეს, რომ ორივეს ერთად წაეღოთ. ამის შემდეგ საშკამ ვალერიკი განზე გაიხმო და უთხრა:

— იცი რა, ვალერიკ, მოდი, გოგო დავიყაბულოთ, ჯერ სკოლაში წამოგვყვეს და შინ მერე მივიყვანოთ. სკოლა აქედან ახლოა, ეგ რომ ჯერ შინ მივიყვანოთ, გზა ძალიან გაგვიგრძელდება.

— აბა, ნინიკო-კირიკო, — უთხრა ვალერიკმა გოგონას, — ჩვენ ახლა ცხენებივით შევებმებით და რკინეულობას სკოლაში წავიღებთ, შენ კი აიღე ეს წკნელი და გაგვრეკე, თორემ რკინა მძიმეა, ვინმემ თუ არ გაგვრეკა, ვერ წავიღებთ.

ნინიკოს ეს წინადადება ძლიერ მოეწონა და წკნელი ჩამოართვა. ბიჭებმა დაავლეს მავთულს ხელი და წაათრიეს. რკინის ფურცელი ისე ყურისწამღებად რახრახებდა ტროტუარზე, რომ გამვლელები განზე ხტებოდნენ. ბიჭები ხშირ-ხშირად ჩერდებოდნენ შესასვენებლად და ნინიკოც მაშინ ხან ერთს გადაუჭერდა ხოლმე წკნელს, ხან მეორეს.

— მაგრად მოგვცხე, მაგრად, — ეუბნებოდა საშკა, — ხომ ხედავ, ცხენებს ძალა გამოელიათ, უმათრახოდ სკოლამდე ვერ მიიტანენ.

ნინიკოც რაც შეეძლო ცდას არ აკლებდა, თან ხმამაღლა კისკისებდა.

## 3.

— ჩემი ჭრიჭინა დღეს რაღაც ძალიან გაერთო თამაშით! — თქვა ბებიამ, როცა მოაგონდა, ნინიკო კარგა ხანია რაც ეზოში ჩავიდა და მისი დაბრუნების დროაო. — რაღა ვქნა, სადმე ისეთ ალაგას არ წავიდეს, ათასი რამეა მოსალოდნელი! — წაიბუტბუტა მან, შალი მოისხა და ეზოში გამოვიდა.

ეზოში ბავშვები ირეოდნენ, თამაშობდნენ და სიცილკისკისით დაჭროდნენ. ნინიკო არ იყო მათ შორის.

— ბავშვებო, ნინიკო არ დაგინახავთ? — ჰკითხა ბებიამ მათ, მაგრამ თამაშით გართულ ბავშვებს შეკითხვა არ გაუგონიათ.

ბებიამ მთელი ეზო შემოიარა, ისე რომ მოთამაშე ბავშვებს არ დასჯახებოდა, და ყველა კუნჭულში შეიხედა.

— ბები, ნინიკოს ეძებთ? — ჰკითხა გრძელნაწნავიანმა და წითელბაფთიანმა გოგონამ. — ნინიკო აქ არაა, ჩვენ რახანია აქ ვთამაშობთ და არ გვინახავს.

— როგორ თუ არ გინახავთ?! — გაიოცა ბებიამ. — უკვე ერთი საათია, რაც ეზოში თამაშობს.

— არა, ბები, აქ არ ყოფილა... ბავშვებო, — დაიძახა მან, — ბავშვებო, ნინიკო დაკარგულა!

ყველამ მაშინვე მიატოვა თამაშობა და ბებიას შემოეხვივნენ.

— იქნებ ქუჩაში გავიდა?

— ან ეგებ მეზობლებში წავიდა, — თქვა მეორემ, — თქვენ იმათთან იკითხეთ, იქნებ იქ იყოს.

ბებიამ ორ-სამ ეზოში შეიხედა და იმ იმედით, იქნებ ნინიკო უკვე დაბრუნდაო, შინ წავიდა. ოთახი ცარიელი იყო. მოხუცი ქალი თანდათან შიშმა შეიპყრო, მუხლები მოუდუნდა და სკამზე ჩამოჯდა. თავში ფიქრები აერია. ამ დროს მეზობელმა ქალმა შემოიხედა:

— ნინიკო ვერ ნახეთ?

— ვერა, გენაცვალე, ვერა.

— მილიციაში წასულიყავით და გეკითხათ, ეგებ იქ იყოს.

— ეგ კარგი მომაგონეთ! მე სულელი კი აქა ვზივარ და დროს ვაცდენ... — ავიშვიშდა ბებია.

ბებიამ საჩქაროდ გასწია მილიციისაკენ. შიშით აკანკალებული შალში ეხვეოდა და გზაში აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. მილიციის განყოფილებას რომ მიატანა, კიბეს მეორე სართულზე აჰყვა და უჩვეულო სირბილით აქოშინებული პირველსავე ოთახში შევიდა.

— რაზე გარჯილხართ, დედი? — ჰკითხა მაგიდასთან მჯდარმა მილიციელმა.

— გოგო დამეკარგა, შენი ჭირიმე... შვილიშვილი, — უთხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოხუცმა ქალმა.

— აქ, დედი, საპასპორტო მაგიდაა. თქვენ საბავშვო ოთახში უნდა იკითხოთ.

— სადაა, გენაცვალე, ეგ ოთახი?

— ეზოშია, ამ შენობაშივე. ქვევით ჩაბრძანდით, ეზოში, — მარცხნივ, ეზოს ბოლოშია, კარზე აწერია.

შესასვლელში ბებიას მორიგე მილიციელი შეხვდა.

— შვილო, აქ ხომ არაა ჩემი გოგო? დამეკარგა ბავშვი.

— ახლა არც ერთი გოგო არა გვყავს სახეზე, მოქალაქევ. გოგონები ჩვენთან დიდ ხანს არ ჩერდებიან. ბიჭებს კი უფრო დიდი ხნით უხდებათ ხოლმე დარჩენა. მაგრამ თქვენ ნუ ღელავთ, მოქალაქევ. ადამიანი ხომ ნემსი არაა, ვნახავთ! დაბრძანდით.

მილიციელმა ბებიას სკამი მიაწოდა. ბებია დაჯდა. მილიციელი მაგიდას მიუჯდა და რვეული გადაშალა.

— დიდია გოგო? — ჰკითხა მან და ჩასაწერად მოემზადა. — რამდენი წლისაა? — რა გვარია? სახელი, მამის სახელი? სად ცხოვრობს? ასე... დიდი ხანია დაიკარგა? რა აცვია? ცისფერი კაბა, წინსაფარი, ზედ კურდღელია ამოქარგული? კეთილი. შინ გაქვთ ტელეფონი? მაშ ასე, ჩავიწერთ... ვიპოვნით, არხეინად ბრძანდებოდეთ!

ცოტა დამშვიდებულმა და თან სულმოთქმულმა მოხუცმა შინისაკენ გასწია. მაგრამ რაც უფრო უახლოვდებოდა თავის სახლს, შიში უფრო იპყრობდა. სულ ეჩვენებოდა, რომ გამოვიდა ნინიკო ალაყაფიდან და ქვაფენილი გადაირბინა, ამ დროს გამოსრიალდა ავტომობილი და დაეჯახა, იმავ წამს ხალხი შეგროვდა, — აგერ უკვე შეშფოთებული მოშკივის და მოქრის მანქანა, რომელსაც წითელი ჯვრები ახატია მინებზე. თავისი სახლის ალაყაფთან შეჩერდა მოხუცი. ეზოდან ვასია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



...დროდადრო ფეხებს მოიკეცავდა, ბიჭებს ხელებზე ჩამოეკიდებოდა და თან გახარებული ჭყიოდა.

მორბოდა. თმები უარესად გაჩეჩოდა და სახეზე ოფლის წვეთები უბზინავდა.

— ნინიკოს დედა მოვიდა! — უთხრა მან დიდი საიდუმლოკილოთი.

— ნინიკო?

— ნინიკო ჯერ ვერ იპოვეს.

ბებია კიდევ რალაცის თქმას აპირებდა, რომ ამ დროს ტროტუარზე ორ ბიჭს მოჰკრა თვალი. ისინი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდნენ, მათ შუა კი პატარა გოგო მოცუნცულებდა. ბიჭებს აქეთ-იქით ხელი ჩაევლოთ მისთვის, გოგოც მოჰყვებოდათ, დროდადრო ფეხებს მოიკეცავდა, ბიჭებს ხელებზე ჩამოეკიდებოდა და თან გახარებული ჭყიოდა. ჩანდა, ბიჭებსაც სიამოვნებდა ეს ამბავი, რადგან ისინი ხმამაღლა იცინოდნენ. აგერ მოახლოვდნენ კიდეც. ბებია ხედავს ცისფერ კაბას, თეთრ წინსაფარს და ზედ ამოქარგულ წითელ კურდღელს.

— ნინიკო! — იძახის ბებია და ხელებს მისკენ იწვდის.

ნინიკომ ბებია დაინახა.

— ბებიკო! — ყვირის ისიც და ბებიასკენ მორბის.

ბებია ხელში აიტაცებს ნინიკოს და გულში იკრავს.

ბიჭები ვერ მიმხვდარან, რაა მიზეზი ასეთი გულამაჩუყებელი შეხვედრისა და გაოცებისაგან პირდაღებულნი შესცქერიან ბებიასა და შვილიშვილს.

— მადლობელი ვარ, შვილებო, მადლობელი! — გაიძახის ბებია, — სადა ნახეთ ჩემი გოგო?

— გესმის, ვალერიკ, არ გახსოვს, სად ვნახეთ? — ჰკითხა ერთმა ბიჭმა მეორეს.

ვალერიკმა მიიხედ-მოიხედა.

— სადა? სწორედ ამ ეზოში იყო და ჩვენც აქ ვნახეთ.

— მადლობელი ვარ, გენაცვალეთ, მადლობელი! — მაინც გაიძახოდა ბებია, რომელსაც ბავშვების ლაპარაკისთვის ყური არ უგდია.

ტალანში მაღალი ქალი შემოხვდათ, სახეგაფითრებული და აღელვებული. მოდიოდა და თან გზადაგზა ბერეტს იხურავდა, მაგრამ შემოსული ნინიკო და ბებიამისი რომ დაინახა, იქვე შეჩერდა.

— აქ რა ამბავია, რა მოხდა? — იკითხა მან. — ესაა მილიციიდან დამირეკეს, ნინიკო ხომ არ მოვიდაო, მკითხეს. სად წასულიყო?

— არაფერია, არაფერი, — დაამშვიდა ბებიამ რძალი, — ნინიკო დაიკარგა, მაგრამ ახლა მოვნახე.

— არა, ბები, მე არ დავკარგულვარ! — უთხრა ნინიკომ.— მე ბიჭებს წავყევი და ვაჩვენე, სად ეყარა რკინეულობა.

— რა რკინეულობა, რას ამბობ?

ნინიკო მოჰყვა, როგორც იყო საქმე, უამბო მათ, როგორ ვერ მიაგნო იმ ადგილს, სადაც მან და ბებიამ რკინეულობა ნახეს, მერე ბიჭებმა რომ უყიდეს ლვეზელი, რათა გახსენებოდა, და იმანაც ლვეზელი შეჭამა თუ არა, მოიგონა კიდეც.

ბებია უსმენდა ამ ამბავს და გაოცებაში მოდიოდა.

— შეხე ერთი, კიდევ რა მოუგონებიათ! — ამბობდა ის.— ეს რკინა ვითომ რალად უნდოდათ!

— რას ამბობ, ბები, აკი შენ თვითონ მითხარი, პატარები დიდებს უნდა დაეხმარონო. ჰოდა, მეც მინდა დავეხმარო. ჩემი მამა რომ პატარა იყო, ისიც ხომ აგროვებდა რკინებს ქარხნებისათვის.

იმ დღეს ლაპარაკი მხოლოდ რკინების თაობაზე იყო.

— ეგ ძალიან კარგი გიქნია, რომ პიონერებს დაეხმარე,— უთხრა ნინიკოს დედამ, —მაგრამ ბებიას ხომ უნდა დაკითხებოდი. მან რამდენი შიში გამოიარა შენი გულისთვის.

— სულ არ გეცოდება ბებიაშენი! — თავს უქნევდა ბებიაც.

ნინიკო ყელზე შემოეხვია ბებიას:

— მეცოდები, ბები, მეცოდები. ამას იქით მუდამ დაგეკითხები ხოლმე. მე და შენ კიდევ ვიპოვით როდესმე რკინებს, ბევრ რკინებს! არა, ბები?

სალამოს, როცა ნინიკო უკვე დასაძინებლად დაწვა, დედა და ბებია კიდევ დიდ ხანს იჯდნენ და ვერ გადაეწყვიტათ: მივწეროთ თუ არ მივწეროთ ნინიკოს მამას ამის შესახებო. ორივე ქალის ფიქრით, სჯობდა არ მიეწერათ, რათა იმასაც არ შეშინებოდა და რომ ჩამოვიდოდა, მაშინ ეამბნათ. ასეც გადაწყვიტეს, მაგრამ მაინც ორივე უკმაყოფილო დარჩა ამ გადაწყვეტილებისა. გულით უნდოდათ, მამასაც გაეგო, თუ რა კარგი გოგონა ეზრდებოდა.

თარგმნა რუსუდან ქებულაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იულიან ტუვიმი

# საბავშვო ლექსები

✻

იულიან ტუვიმი ცნობილი თანამედროვე პოლონელი პოეტია. იგი დაიბადა 1893 წელს და ყრმობის წლები ლოძში გაატარა. ი. ტუვიმმა ლექსების პირველი წიგნი 1918 წელს გამოსცა. შემდეგ წლებში გამოდის პოეტის სხვა წიგნებიც, რომლითაც იგი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას იმსახურებს. პოეტმა პოლონურ ენაზე თარგმნა «ამბავი იგორის ლაშქრობისა», პუშკინის, მაიაკოვსკისა და სხვათა ლექსები, რითაც თავის ხალხს გააცნო დიდი რუსი ხალხის, როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. ი. ტუვიმი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის აქტიურ მშენებელთა რიგებში დგას და მტკიცედ იბრძვის ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის. როგორც ქართველმა მკითხველებმა იციან, ამჟამად იგი თარგმნის რუსთაველის «ვეფხის ტყაოსანს», რომლის თარგმანის ნაწყვეტები უკვე გამოქვეყნდა პოლონეთის პრესაში.

ი. ტუვიმს ბევრი ლექსი აქვს დაწერილი აგრეთვე ბავშვებისათვის, რომელთა ზოგიერთ ნიმუშს ქვემოთ ვბეჭდავთ. ლექსები ქართულ ენაზე თარგმნა, უკეთ გადმოაქართულა რევაზ მარგიანმა.

✻

## ფ რ ი ნ ვ ე ლ თ ა   რ ა დ ი ო



— ყურადღება!
— ყურადღება!
— ყველასა გაქვთ ჩართული!
— გაასწორეთ ისარი!
— იმუშავებს სადგური,
მხოლოდ ფიქვნარისათვის,
მხოლოდ ტყეებისათვის!
— ყურადღება!
— ყურადღება!
ზვეწვევიან ფრინველები
სიმღერებით განთქმული.
სტუდიიდან საოცარი
გადაცემა გვექნება.
ფრინველები ესწრებიან
ჩვენს რადიო-შეკრებას!
უსასრულო ტალღაზე
იმუშავებს სადგური...
აბა, არ დაივიწყოთ,
ყველას გქონდეთ ჩართული!
პირველ რიგში გადაცემა
ერთ საკითხს მიეძღვნება:
— როდის, რომელ საათზე
უფრო ხელსაყრელია
ნამის გამოყენება!
(ვიცით, ბევრმა არ იცის,
კარგად მოგვეხსენება!).
და მეორე საკითხი —
მეტისმეტად რთულია,
თუმცა კარგა ხანია,
ის მომ-წი-ფე-ბუ-ლი-ა!
გვინდა ყველას აგიხსნათ
ეხოს იდუმალება,
ის თუ ტყეში არსებობს,
მაშინ სად იმალება?!

და მესამე საკითხზე
გულის გამხარებელი —
საყვარელი შაშვია
ჩვენი მომხსენებელი.
ჩვენი შაშვი, რომელიც
გულწრფელია სრულიად,
(ბუდეების შემკეთებლად
ახლად დანიშნულია).
შემდეგ კამათს გავმართავთ
სტვენას, წივწივს, გალობას,
ჭიკჭიკი და ჟივჟივი
სეტყვასავით წამოვა.
ყურყურით და წრიპინით
ჭახჭახით და ჟღურტულით,
ტალღა დაიტვირთება,
სწრაფი როგორც შურდული!
დაიწყება გამოსვლა
ყოველგვარი ფრინველის,

ჩიტბატონა იქნება
ალბათ მათში პირველი...
შოშიაც და წიწკანაც
ერთად ხმაშეწყობილი...
ყველა, ყველა გამოვა
დობილი და ძმობილი,
რაც კი ფრინველებია
ჩვენს ტყეებში ცნობილი.
— ყურადღება!
— ყურადღება!
— ყველასა გაქვთ ჩართული?!
— გაასწორეთ ისარი!
სრული ხუთი საათიდან
იმუშავებს სადგური
მხოლოდ ფიქვნარისათვის,
მხოლოდ ტყეებისათვის!

ხუთზე ჩავრთე რადიო
აი რა მოვისმინე:
„ჭიკ-ჭიკ! ჭიკ-ჭიკ!
წრიპ-წრიპ! — წრიპ-წრიპ!
გუ-გუ! — გუ-გუ!
ლუ-ლუ! — ლუ-ლუ!
თირ-თირ! — თირ-თირ!
პიტ-პიტ! — პიტ-პიტ!
პი-პრი! — პი-პრი!
ჭრი-ჭრი! — ჭრი-ჭრი!
ჩირ-ჩირ! — ჩირ-ჩირ!
წივ-წივ! — წივ-წივ!
ვერაფერი გავიგე,
ან და როგორ გავიგო?..

ახლა, როგორც ეტყობა
ალბათ ის გადაცემა
ჩვენთვის სულაც არ იყო.



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბ ო ს ტ ნ ე უ ლ ი ს ა მ ბ ა ვ ი

ერთმა დიასახლისმა
მოიარა ბაზარი
და შინ ძლივს მოიტანა
ტვირთი უზარმაზარი.
კალათაში ბოსტნეული
ეწყო მრავალნაირი —
　　აი რა:
თავის ბედით კმაყოფილი —
გაბერილი კარტოფილი.
ტკბილი, როგორც შაქარი —
სისხლისფერი ჭარხალი.

თითქოს უკმაყოფილო
თავმომწონე სტაფილო.
და კომბოსტო ბურთის ხელა —
ხრამუნა და ასფურცელა.

ოხრახუში, მუხუდო...

ბოსტნეულის ლოდინში
სულს ლაფავდა ქოთანი,
ვეება და უქუდო,
ბევრჯერ ნაქოთქოთარი.

მაგიდაზე ატყდა დავა,
დიდი სიცილ-ხარხარი.
— ვინ სჯობია ქვეყანაზე
კომბოსტო თუ ჭარხალი,

— ვინ სჯობია — კარტოფილი,
თუ მუხუდოს მარცვალი,

— ვინ სჯობია — ოხრახუში,
თუ სხვა რამე ახალი!
მაგიდაზე ატყდა ჩხუბი
დავა, აყალ-მაყალი,
გაიბერა კარტოფილი,
წამოენთო ჭარხალი,
სულ გაყვითლდა სტაფილო:
— რას ტრაბახობ ყმაწვილო?!

აშრიალდა ოხრახუში,
რაღაც უთხრა ჭარხალს ყურში:
წამოენთო ჭარხალი,
მაგრამ უცბათ მაგიდაზე
მიწყდა სიცილ-ხარხარი!

სად იყო და სად არა
უცბათ დიასახლისმა
ერთი დანა ალესა —



ჯერ ყველაზე პატარა
განზე გამდგარ სტაფილოს
დანით მიუალერსა.
შემდეგ მიწვდა კომბოსტოს,
კარტოფილიც გათალა,
არც მუხუდო დაივიწყა
გაარჩია პატარა.

თავმომწონე ოხრახუშიც
თავზე გადააყარა...
აიღო და ერთ ქოთანში
მოსახარშად ჩაჰყარა.

ქოთანს თავი დაახურა —
ბევრჯერ ნაქოთქოთარი.
— ქოთ-ქოთ!
— ქოთ-ქოთ!
ხმა გაისმა—
აღიღინდა ქოთანი.
ერთმანეთში აირია
კომბოსტო და ჭარხალი,
კარტოფილი, ოხრახუში
და მუხუდოს მარცვალი.

და მომგვრელი
ტკბილი მადის
უკვე მზად გვაქვს
შეჭამადი.

აბა, კარგად მოიგონე —
ამ კარგ წვნიანს
შენ არ ჭამდი?!

## პ ა ტ ა რ ა მ დ ი ნ ა რ ე

მოედინება მდინარე —
მოდის და მოედინება,
ვერცხლის ზოლივით ელვარებს—
ბუნებამ ასე ინება.

მოედინება დღისითაც,
მოედინება ღამითაც.
ხან მარჯვნისაკენ მოუხვევს—
ხან მარცხნისაკენ მიუხვევს,
არ შეჩერდება წამითაც.

ცივია, ყინულიანი,
გაკვირვებული უყურებ...

იგი შუაში ზანტია,
მხოლოდ ნაპირთან დუდუნებს.
რა ადუღუნებს მდინარეს,
ან რა აქვს დასაფარავი,



რა ადუღუნებს ნეტავი
არავინ იცის,
არავინ!

არც მე არ ვიცი, პატარავ —
გიამბო?
არ შემიძლია.
თუმცა ქვებმა და თევზებმა
ეს ყველაფერი იციან...

იქნება ქვებმა გვიამბონ,
თევზებმა გვითხრან ევების.
სდუმან. არაფერს ამბობენ
არც ქვები და არც თევზები.

# საფრინველო



— ძალზე ცოტა კვერცხსა დებ,
ჩემო კარგო დაო,—
ერთხელ იხვმა ქათამს
თურმე ასე უთხრა, —
ყველა ინდაური
კიდევ ამას ამბობს,
მალე დაამშვენებთ
საქორწილო სუფრას!
— ბაჯბაჯავ და ჩორთავ,
რად კადრულობ უღირსს,—
ახმაურდა, აკაკანდა
გაბღენძილი კრუხი, —
ბატმა ასე მითხრა,
შენ არა ხარ იხვი,
რომ შენ კუჭის კატარი გაქვს,
ყელს გკიდია ჩიყვი.
ბატმა ესეც ბრძანა,
რომ მამალი იხვი
ბრიყვია და შტერი,
ჩერჩეტი და გლახა,
თქვენ გგონიათ საფრინველოს
ვითომ რამედ გვილირს,
მისი უშნო შეძახილი:
— ვახ-ვახ, ვახ-ვახ!

ხმა გაისმა არხთან:
— ვახ, ეს რაებს ბოდავს,
ვის უწოდებს ბატი
ჩერჩეტსა და გლახას!
ჩუმად, ჩუმად ბატო,
მოითმინე ცოტაც
შემწვარ ვაშლით მორთულს
ხონჩაზედაც გნახავ!
— ყი-ყი-ყი-ყი.....
აქირქილდა ბატი
და ღიმილით შეისწორა
თეთრი გალიბანდი.





— ტულ-ტულ, ჩხუბი, ჩხუბი
დაუწყიათ უკვე,—
გაფხორილი ინდაური
უშნო ყრანტალს მოჰყვა,
გვერდი გაჰკრა უცბათ
პაწაწინა ჰუკებს
და დედა-ბატს დაუკაწრა
თოვლისფერი ლოყა.
ამ ყვირილზე საიდანღაც
იქ მამალი გაჩნდა;
დეზი შეისწორა,
გაიარა რიხით.
ბატი სადღაც გაქრა,
სადღაც გაქრა იხვი...
ყველა მიიმალა
ბუჩქებიან არხთან...
— ვახ-ვახ, — ამბობს იხვი,—
ეს რა დაგვემართა!
— ყი, ყი, — ამბობს ბატი
ეს რა დაგვემართა!
ჩხუბის ეს ამბავი —
საარაკო გახდა.
საფრინველოს იგონებენ
ჩხუბის ამბავს ახლაც.

# სად არის სათვალე?

სათვალე დაკარგა
დეიდა ვალიამ,
მითხარი
რა მისი ბრალია?
დეიდა ვალია
მოხუცი ქალია,
სულ შრომობს
და სულ არ სცალია.
დაკარგა.
რაღა ჰქნას დღეიდან,
სათვალეს დაეძებს დეიდა!
სულ გადააბრუნა საწოლი:
ლეიბი,
ბალიში,
საბანი,
და ახლა საწოლქვეშ მიძვრება,
— ნეტავი სათვალე სად არი?!
დეიდამ ვედროშიც ჩახედა,
მონახა:
კალოშიც,
წაღებიც,
თაროზეც სულ გადააბრუნა
დიდი
და პატარა
ქვაბები.

არ დარჩა არცერთი კუნჭული,
როდინი,
ქოთანი,
ტომარა.
უთუოდ,
უთუოდ ვიღაცამ
დეიდას სათვალე მოპარა.

ტრიალებს,
ფუსფუსებს,
დაეძებს,
დაღლილა, ეტყობა, ძალიან.
ხელახლა მიადგა კარადას
საბრალო
დეიდა ვალია.



ისევე საწოლთან მივიდა
გასინჯა:
ლეიბი,
საბანი.
ნეტავი იცოდეს დეიდამ,
თუ მისი სათვალე სად არი!

დაღლილა, ეტყობა, ძალიან
და სკივრზე ჩამოჯდა ვალია.
სკივრის წინ კი სარკე ჰკიდია
და სარკე —
სარკმელზე დიდია.

სარკეში ჩახედა დეიდამ
გაოცდა მოხუცი გულწრფელი:
სათვალე მის შუბლზე შემჯდარა
ღიმილით სარკიდან უცქერის.

საბრალო დეიდა ვალია—
რამდენი, რამდენი აწვალეს...
ამ მინამ უშველა ეპოვნა
ძვირფასი,
ლამაზი
სათვალე.

ლევ კასილი

# ა ი ს ი

☆

«აისი»... ასე ჰქვია დიდ მოთხრობას, რომელიც ამას წინათ დავამთავრე ორი წლის მუშაობის შემ-
დეგ. მასში მოთხრობილია იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობდა, იზრდებოდა, სწავლობდა და მუშაობდა
შესანიშნავი ჭაბუკი მხატვარი, მოსკოვის საშუალო სამხატვრო სკოლის მოსწავლე, პიონერი კოლია
დმიტრიევი.

მე ჩემს მოთხრობას კოლია დმიტრიევზე იმიტომ ვუწოდე «აისი», რომ კოლიას მთელი ხანმოკლე
სიცოცხლე, რომელიც ნადირობისას, უბედური შემთხვევით, ზედ გარიჟრაჟზე—15 წლის ასაკში შეწყდა, იყო
არაჩვეულებრივი ამოსხივება ნიჭისა, რაც უკვე მკაფიოდ გამოვლინდა და ჩვენს ხელოვნებას ბევრის მი-
ცემას ჰპირდებოდა.

ლევ კასილი.

☆

ჯერ კიდევ არც თუ ისე ციოდა და კოლია მეცადინეობიდან თავისუფალ საათებში სივცევ ვრაჟეკის გავლით გოგოლის ბულვარზე გარბოდა. აქ რომელიმე სკამზე მოიკალათებდა, მუხლებზე პაწაწინა ალბომს დაიდებდა და ჩანახატებს აკეთებდა.

იმ დროს იგი ვიტიასთან ერთად ძალზე გატაცებული იყო, როგორც ორივენი ამბობდნენ, ფსიქოლოგიური დახასიათებებით. მაგალითად, მეტროში ან ტროლეიბუსში რატომღაც რომელიმე სახე მიიპყრობდა მათ ყურადღებას და ბიჭები ჩურჩულით იწყებდნენ ერთმანეთისათვის თავიანთი მოსაზრებების გაზიარებას, ცდილობდნენ განესაზღვრათ თავიანთი „მსხვერპლის“ წლოვანება, პროფესია, ხასიათი.

ცხადია, იმის შემოწმება, ყველაფერი გამოცნობილი იყო თუ არა, არ შეიძლებოდა, მაგრამ კოლია თვლიდა, რომ ამგვარი მეცადინეობა დაკვირვებულობას ავითარებს. ბულვარზე კი დაკვირვებებისათვის ყოველთვის ბევრი მასალა იყო.



კ ო ლ ი ა  დ მ ი ტ რ ი ე ვ ი

ანდა აი იქ, მაგალითად, მოხუცი ძიძაა საბავშვო ეტლით, რომელშიც ლოყებამდე შეფუთნული ჩვილი წევს, რაღაც რგოლიან საწოვარას წუწნის. ძიძა, ალბათ, უსწავლელია, საათის ცნობა არ იცის. ამიტომ მას თან ყოველთვის მაღვიძარა საათი მოაქვს. დაწესებულ დროს მაღვიძარა საათი რეკვას იწყებს და ძიძას ბავშვი ბულვარიდან მიჰყავს.

აქ ხშირად მოდიოდა პატარა, უულვაშო, სასაცილო წვერებიანი მოხუცი. უჩვეულოდ დიდი, ადამდაევასდროინდელი ყაიდის ბოტები ეცვა. მას მუდამ მოჰქონდა თან გაზეთი, ცხვირთან მიიტანდა და ისე კითხულობდა, მერე იძინებდა, გაზეთი სახეზე ეფარა, ხვრინვას ამოუშვებდა და გაზეთის ქაღალდი ადიოდა და ჩამოდიოდა. ყოველივე ეს ძალზე თავშესაქცევი იყო.

ბულვარზე ყოველდღე გამოჩნდებოდნენ ხოლმე გოგონები მეზობელი სკოლიდან. ისინი დინჯად მოდიოდნენ, აუცილებლად ხელიხელჩაკიდებულნი; ახალგაზრდა ლოყაწითელ მასწავლებელ ქალს მოჰყვებოდნენ აქეთ-იქიდან. მასწავლებელი, ალბათ, ყველასათვის საყვარელი იყო და მოშორებით მავალნი დაუფარავად ეჭვიანობდნენ იმათზე, ვინც დამრიგებელს გვერდით მოჰყვებოდა. განაპირანი მეზობლებს ავიწროებდნენ, წინ უსწრებდნენ, ისწრაფოდნენ სახეში შეეხედნათ მასწავლებლისათვის და ამის გამო მწკრივი ორივე მხრიდან რკალად იხრებოდა, აგერ-აგერ წრედ შეიკვროდა.

აი, ბულვარზე დასასვენებლად ჩამოჯდა რეზინის ჩექმებიანი მუშა — წყალსადენის ოსტატი, ან მეტრომშენებელი, — ბრეზენტის ხელთათმანები გაიძრო, წესიერად დადო იქვე, სკამზე, აუჩქარებლად გააბოლა, ირგვლივ ყოველივეს პატრონივით მიმოავლო თვალი.

უკვე რამდენიმე დღეა ზედიზედ, რაც კოლიამ გამხდარი, ოდნავ კუზიანი, დიდთავა ბიჭი შეამჩნია. იგი ხეივანში მზიან ად-
გილს აირჩევდა და იჯდა შალში შეფუთნული, ჩაფიქრებუ-
ლი და მოხრილი, ოქტომბრის მზის ნელთბილი სხივებისა-
თვის შეეშვირა თავი. ხანდახან იგი სხვა ბიჭების თამაშში
სინჯავდა ხოლმე მონაწილეობის მიღებას, მაგრამ ის იყო
ძალზე მორცხვი, თუ მისი ავადმყოფური შეხედულება აში-
ნებდა ბავშვებს, როგორღაც არ იღებდნენ თავიანთ კომპანია-
ში. და საერთოდ კოლიას მოეჩვენა, რომ ბიჭს აწყენინეს,
რომ მას არავინ არ იკარებდა. მესამე დღეს კოლია იმ სკამზე
გადაჯდა, სადაც ბიჭი იჯდა და ჰკითხა:

— შენ შეგიძლია ცოტა ხანს წყნარად იჯდე? მე შენი დახატვა მინდა.

— ჩემი? — უნდობლად იკითხა ბიჭუნამ და დაიმორცხვა.—კი, მაგრამ შეგიძლია?

— აი, ვსწავლობ.



ძელური გზისპირას. აკვარელი

— მაგრამ რატომ მე უნდა დამხატო მაინცდამაინც? ხომ ლამაზებს ხატავენ, მე კი...

— მე შენ მომეწონე და დაგხატავ კიდეც,—რაც შეიძლება მხიარულად თქვა კოლიამ, მოხერხებულად მოეწყო ალბომით.

— რითი მოგეწონე? მე ავადმყოფობ. მოსკოვში დედამ ჩამომიყვანა, მალე სანატორიუმში მივდივარ. უკვე მომცეს საგზური. სავსებით უფასოდ. მე სირბილი მიჭირს, იმიტომ რომ კორსეტში ვარ. გინდა, ხელით მოსინჯე? ნუ გერიდება, მოსინჯე.

კოლიამ, რომ არ ეწყენინებინა, მოსინჯა და პალტოს ქვეშ მაგარი, გახევებული კორსეტი შეიგრძნო.

— ეს ფუგასური ბომბისგანაა, — ახსნა ბიჭმა, — მე ომის დროს ჯერ კიდევ პატარა რომ ვიყავი, დ_დასთან ერთად მატარებლით ვმგზავრობდი და დაგვბომბეს. ხერხემლის კონტუზია მომივიდა.

— ახლა წყნარად იჯექი, მე კი შენს პორტრეტს დავხატავ. კარგი?

— კარგი,—მადლიერებით უთხრა ბიჭუნამ.—ჰო, როგორ ვიჯდე, გამომეტყველებით?

— არა, გეთაყვა, იჯექი ისე, როგორც აქამდე. აბა, თუ გინდა წიგნი წაიკითხე.

— მე ახლა არ შემიძლია კითხვა. მე სულ იმის მოლოდინში ვიქნები, როგორ დამხატავ.

— აბა, ისე ჰქენი, თითქოს კითხულობ.

—თითქოს? ეს არაა კარგი.

— რატომ არაა კარგი?

— იმიტომ, რომ... შენ ხომ ჩემი ისეთნაირად დახატვა გინდოდა, როგორც ცხოვრებაში ვარ. ახლა უკვე აღარ მოგწონვარ? ჰოო? რატომ მიყურებ ასე? აღარ მოგწონვარ?

— აბა, ისე როგორ დაგხატავ, თუ არ გიყურე! აი, უცნაური!—თქვა კოლიამ და მუშაობას შეუდგა.

ბიჭუნა გაუნძრევლად იჯდა, ხანდახან კისერს თუ წაიგრძელებდა და ალბომისაკენ გაიხედავდა ცერად, რომ ნახატი დაენახა. კოლიამ კი სწრაფად მონიშნა ფურცელი, ნახატის საზღვრები დ:ადგინა, კონტურები მოხაზა. და სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ ალბომის ფურცელზე გამოჩნდა ფერმკრთალი, ოდნავ კუზიანი ბიჭი დიდი, გაოცებული თვალებითა და წვეტიანი ნიკაპით. თვალები ძალიან კარგი გამოვიდა, რის გამოც მთელი სახე ნათელს აფრქვევდა და ბიჭი ნახატზე თავისებურად კარგი და მიმზიდველი იყო.

ამასობაში, სანამ კოლია ხატავდა, იწყეს მოსვლა სხვა ბავშვებმა და მალე იმ სკამს, რომელზედაც კოლია და მისი დამჯერე მოდელი ისხდნენ, ყოველი მხრიდან შემოეხვივნენ ბიჭუნები. ისინი ჩუმად ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს,—ეშინოდათ მხატვრისათვის ხელი არ შეეშალათ,— ფრთხილად იხედებოდნენ ალბომში და ახლა ფერმკრთალ ბიჭს უკვე პატივისცემით უყურებდნენ. ყველას ხატვას ხომ არ შეუდგება მხატვარი! ალბათ, ბიჭმა დაიმსახურა ეს პატივი.

აი, პორტრეტი მზადაა. ბიჭუნამ ჩაიხედა და ოდნავ გაწითლდა.

— მე განა ასეთი ვარ?

— ასეთი, ზუსტად ასეთი!—დაიძახეს ირგვლივ ბავშვებმა.—როგორც ორი წვეთი წყალი, ის ჰგავხართ!

კოლია შეეცადა პორტრეტში შეერბილებინა ავადმყოფობის ზოგიერთი ხაზი, რაც ბიჭის სახეში ვლინდებოდა, პოზაც ისეთი აურჩია, რომ მოხრილობა გაექარწყლებინა. ალბათ, ბიჭი პორტრეტში ცოტათი უფრო კარგად გამოიყურებოდა, ვიდრე ცხოვრებაში. მაგრამ კოლია ჭეშმარიტად გააოცა ამ დიდი, გაკვირვებული თვალების სევდიანმა სილამაზემ ფერმკრთალ სახეზე და გადაწყვიტა ამ თვალების სხივით გაენათებინა მთელი ნახატი. ბოლოს და ბოლოს განა არა აქვს მხატვარს იმის უფლება, რომ მშვენიერი შენიშნოს იმაშიც კი, რაც ერთი შეხედვით არც თუ ისე ლამაზია? ხომ მართალია ჯამბული, რომელიც ახლახან სკოლაში, პიონერთა შეკრებაზე წაიკითხეს: „პოეზია — ეს ხელოვნებაა მოტყუების გარეშე დაამშვიდო“. არა, მას არ მოუტყუებია ახლა ბიჭუნა.

ირგვლივ კი ბავშვები ხელს ჰკრავდნენ ერთმანეთს და რიგრიგობით იხედებოდნენ ალბომში, ალტაცებაში მოდიოდნენ კოლიას ხელოვნებით. მხოლოდ ერთმა, შალში მაგრად გამოკრულმა, სულ პატარა ფუნჩულა ბავშვმა, ნიკაპით რომ მიწვდა, როგორც იქნა, ალბომის კიდეს, ნახატს შეხედა და დაბალი, გამკიცხავი ბანით თქვა:

— არა ჰგავს. შარვალი არ არის.

— რა არ არის?—ვერ მიუხვდა კოლია.

— ფეხები არაა, ფეხები!—ახსნა მსუქანმა გოგონამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი მაგრამ სურათები უფეხებოდაც არის ხოლმე,—არ დაეთანხმნენ უკანიდან.

— ფეხებს ხვალ მივახატავ, — დაჰპირდა კოლია, წესიერად ამოხია ალბომიდან ნახატი და გამხდარ ბიჭს გაუწოდა.

— აჰა, აიღე სამახსოვროდ.

— დიდი ხნით?—ჰკითხა მან.

— სამუდამოდ.

ბიჭუნამ, რომელსაც ჯერ კიდევ სავსებით არა სჯეროდა ეს ბედნიერება, კოლიას ფრთხილად გამოართვა ფურცელი, ფეხებით მოსინჯა მიწა, ისე, რომ თვალს არ აშორებდა პორტრეტს, ჩამოცოცდა სკამიდან და ხეივნით გასწია. თვალწინ ნახატი ეჭირა. ოდნავ მოშორებით მას დიდხანს მიჰყვებოდნენ შურითა და პატივისცემით აღსავსე ბავშვები...

მაგრამ მეორედ მოხდა ნაკლებად სასიამოვნო ისტორია. კოლიას ძალზე თავშესაქცევად მოეჩვენა ერთი ქალი ზღაპრულად დიდ შლიაპაში, რომელიც კაცმა არ იცის, როგორ ეჯდა ზედ კინკრიხოზე და შუბლის წინ რაღაც ფარდულის მაგვარს ჰქმნიდა. გეგონებოდათ, ქალს თაბახი მიჰქონდა. ისე ფრთხილად მოძრაობდა, თითქოს წყლის დაღვრისა ეშინიაო. კოლიამ მყისვე გააკეთა ჩანახატი. მისდა სასიკეთოდ, ქალი არ ჩქარობდა. კოლია ისე გაიტაცა მუშაობამ, რომ ვერ შეამჩნია, როგორ გაჩერდა მის წინ ქალი. ალბომის ფურცელს ფართო მოქანავე ჩრდილი დაადგა.

— რის უფლებას აძლევთ თავს, ახალგაზრდავ? — უცებ გაისმა მრისხანე ხმა.

კოლიამ საჩქაროდ დახურა ალბომი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— ეს თავხედობაა! — დაიყვირა ქალმა. — ზის და მაშარჟებს. თქვენთვის, ვგონებ, ამის ნება არავის მოუცია! მე რა, თქვენი ცოცხალი ნიმუში ვარ?.. თქვენ გინდათ მილიციონერს დავუძახო? კი მაგრამ სად ნახეთ მაინც ჩემში ასეთი ცხვირი?

კოლია იდგა ჭარხალივით აწითლებული, ხელში ალბომს ატრიალებდა, არ იცოდა, რა ექნა.

— ჩემის აზრით კი, ძალიან ჰგავხართ, — გაიგონა მან ზურგიდან, და როცა იმედით აღსავსემ მოიხედა, დაინახა ძალზე მაღალი კაცი ფართო ფარფლებიანი შლიაპით. მისი მზით დამწვარი სახე ლაზათიანად იღიმებოდა. — მერწმუნეთ, მოქალაქევ, ჩემის აზრით, თქვენ ტყუილად ატეხეთ ეს ხმაური. თქვენს ადგილას მე სამახსოვროდ პორტრეტს შევიძენდი. ძალიან ზუსტადაა დაჭერილი.

— თქვენ თვითონ იყიდეთ, თუ მოგწონთ, — განაწყენდა ქალი.

— მე სრულებითაც არა ვყიდი, — წაიბურტყუნა სავსებით საქციელწამხდარმა კოლიამ.

— აი, ხედავთ, ავტორი თქვენ არც კი გთავაზობთ, — თქვა მაღალმა.

როდესაც განრისხებულმა ქალმა მხატვრისა და მისი დამცველის მისამართით რაღაც არასახარბიელო თქვა და ხეივანი დატოვა, მაღალი კაცი კოლიას მიუჯდა.

— შეიძლება შევხედო, თუ წინააღმდეგი არა ხარ? ოჰო, რა საინტერესო რაღაცეებია აქ!—წაილაპარაკა მან ალბომის დათვალიერებისას, რომელიც კოლიამ ნდობით გაუწოდა. — დიდი ხანია სწავლობ? ახლახან დაიწყე? ოდესღაც მეც ვიწყებდი, მაგრამ ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, მაგის თავი ვიღასა ჰქონდა,—მან ამოიოხრა, შეიჭმუხნა,—შენ კი, ყველაფრით ვგრძნობ, მტკიცედ აირჩიე ეს გზა. ასეა ხომ?

კოლიამ თანხმობით დაუქნია თავი. ამ მაღალ, ზორბა კაცში იყო რაღაც ისეთი, რაც უცებ მისდამი ნდობით განაწყობდა ადამიანს. კოლიამ, რომელიც ახლადგაცნობილ ადა-



დათუნა—ფეხმოქცეული

**ილუსტრაცია ი. ა. კრილოვის იგავისათვის „კვარტეტი".**

მიანებთან ჩვეულებრივ ძალზე თავდაჭერილი და გულჩათხრობილი იყო, იგრძნო, რომ აქ არაფერია მოსარიდებელი.

— რა უშავს, კარგი საქმეა. ჩვენ ძალიან გვჭირდება მხატვრები. რამდენი თემაა. რა ხალხი იზრდება! . არავინ გვაპატიებს, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მათ აღბეჭდვას საუკუნოდ! ასე რომ, საქმე საპატიო აგირჩევია. ოღონდ გეყოს ძალა, ნიჭი. მაგრამ შენ, ჩემის აზრით, ეგ გაქვს. პიონერი ხარ?

— პიონერი.

— კარგია!

— კარგი კია,—თქვა კოლიამ,—მაგრამ...

— რა მაგრამ? — ყურები დაცქვიტა მაღალმა.

— მაგრამ გავამართლებ იმას, რასაც ზოგიერთები ჩემზე ფიქრობენ?.. და აი თქვენც!.. მე ხანდახან მშურს იმათი, ვინც პარტიზანი იყო. აი მე ვიცი ერთი მუსიკოსის აღზრდილი — ანდრეი სმიკოვი. იგი ბრძოლებშიც მონაწილეობდა, გამარჯვების პარადის დროს კი წითელ მოედანზე მედოლედ მიდიოდა. ანდა ჩვენს ეზოში... ჟენია სტრიგანოვი. იგი უკვე სახელოსნო სასწავლებელს ამთავრებს. თვითონ იღებს ხელფასს. მალე ხარატი გახდება. თანრიგს მიიღებს. მე კი რა გამოვალ, ჯერ კიდევ საკითხავია.

— ბოდიში, შენ რა გქვია? კოლია?! აი, რა, კოლია, მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ არა იმიტომ ვაშენებდით სკოლებს, ყველაზე მძიმე წლებში ყველაფერს ვიკლებდით, ყველაფერ კარგს ბავშვებს ვაძლევდით, არა იმისათვის რომ ჩვენმა ბავშვებმა შეცვალონ კალამი... ანდა, ვთქვათ, აკვარელის ფუნჯი შაშხანაზე, ავტომატზე. ეს ჩვენი ბრალი არაა, რომ ზოგიერთ ბავშვს ომის ისეთი სიძნელის გადატანა მოუხდა, როგორც დიდებს. ამისათვის როდი გამზადებდით თქვენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ვამაყობთ, რომ ჩვენი ბავშვები ამ დიდი



ფანქარი.

ილუსტრაცია ი. ს. ტურგენევის მოთხრობისათვის „მომღერლები".

მოვალეობის შესრულებისათვის მზად აღმოჩნდნენ, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ თქვენ მერხებს უსხდეთ, პიონერთა ბანაკებში კილოგრამებს იმატებდეთ, ათასგვარ მეცნიერებას ეუფლებოდეთ, ანდა აი, სურათებს ხატავდეთ, ჩვენი ცხოვრების სილამაზეს უმღეროდეთ. ასე რომ, კოლია, აქ არაფერია შესაშურებელი.

კოლია ყურადღებით უსმენდა, აცქერდებოდა მის ფართო სახეს ლამაზად მოყვანილი ნესტოებითა და დიდი, ხასიათის გამომხატველი პირით. ეჰ, რატომ არ არის ახლა მასთან ვიტკა! ურიგო არ იქნებოდა დაედგინათ ფსიქოლოგიური დახასიათება.

იგი ადგა და კოლიას ვეება ფართო ხელი გაუწოდა.—კარგად იყავი, კოლია. ჩვენ ალბათ კიდევ შევხვდებით. ხვალ აქ იქნები სახატავად? მე შემოგივლი.

კოლია ხშირად შეირბენდა ხოლმე ბებიასთან, რომელიც სულ ახლოს ცხოვრობდა, არბატის ერთ-ერთ შესახვევში.

— ბებია, შეიძლება? მე. ცოტას დავხატავ შენი ფანჯრიდან?

— ჰო, დაჯექი, კოლიუშენკა! იჯექ, რამდენიც გინდოდეს. კი მაგრამ, შენ აქედან კარგად შესძლებ დახატვას? ისეთი უფერული ხედია ჩემი სარკმელიდან. ვერაფერს საინტერესოს ვერ გამონახავ. — თუმცა, ხომ იცი, ვისია ეს სახლი. გერცენის მკვიდრი ძმისა. თვითონაც აქ ბინავდებოდა ხოლმე...

მაგრამ კოლია განა მარტო გერცენის სახლის სახურავს ხატავდა საათობით ბებიას ფანჯრიდან! მას იტაცებდა ამოცანა: ფერად სიბრტყეში გადმოეცა დაბლა მიმავალი პერსპექტივა, არბატის ეზოების ჭისებრი სიღრმე, არეული ხორა წითელი და მწვანე თუნუქის სახურავებისა, მრავალფეროვანი ბრწყინვა ფანჯრის მინებისა, რომლებიც აირეკლავდნენ მოსკვა-რეკისა და დოროგომილოვის გაღმა ანთებული ჩამავალი მზის სხივებს. ბევრჯერ ხატავდა ბებიას ფანჯრიდან ამ ხედს და ყოველთვის რაღაც ახალს აღმოაჩენდა ხოლმე. და ყოველთვის, მას შემდეგ, როცა ბებიას თავისი ეტიუდების ცქერით გულს მოაჯერებინებდა და მერე მიდიოდა, ევდოკია კონსტანტინოვნა ფანჯარას მიადგებოდა, სავარძელს მიიდგამდა, მოხერხებულად მოეწყობოდა მასში და დიდხანს გასცქეროდა სახურავებს, კედლებს და უკვირდა, როგორ ვერ ამჩნევდა ყოველივე ამას აქამდე, რომ მისი ფანჯრიდან მართლაც შესანიშნავი ხედი იშლებოდა.

ბებიას ტელეფონი ჰქონდა და კოლია ხშირად შეირბენდა ხოლმე მასთან, რომ რომელიმე ამხანაგისათვის დაერეკა. „შეიძლება შენგან დაწკარუნება?!"— ჩვეულებრივად ეკითხებოდა იგი ამ დროს. ბებიაც სიამოვნებით რთავდა ნებას: მას უყვარდა ამ საუბრების მოსმენა.

— იგორ!—ჩაჰყვიროდა კოლია ყურმილში. — მისმინე, იგორ! შეგიძლია შენ ყვავის დახატვა? ნუ გიკვირს, მე სერიოზულად გეკითხები. მართალი მითხარი. შეგიძლია თუ არა შენი ყვავის მოცემა, საკუთარი ყვავისა? აი, მე კი ვერაფრით ვერ შევძელი. არ გამომდის მე ჩემი ყვავი, აუცილებლად სეროვისა გამოდის!.. ისე შემიფრინდა თავში, რამდენსაც არა ვცდილობ; მგონია, კიდეც დავხატე-მეთქი, მაგრამ არა: ისევ და ისევ სეროვის ყვავია!..

ბებიასთან საინტერესო იყო საუბარი ნახატებზე, მხატვრებზე. მას კარგად ესმოდა ფერწერა და ოდესღაც ნაცნობობაც კი ჰქონდა ცნობილ ოსტატებთან. საერთოდ, ბებიას ახლაც ბევრი საინტერესო ნაცნობი ჰყავდა. მაგრამ აბა ვინ დაინტერესდება თოთხმეტი წლის ასაკში საკუთარი ბებიის ნაცნობებით? და კოლიამაც არ იცოდა, მაგალითად, რომ ერთხელ ბებია კოლიას მამასთან ერთად ცნობილ ხელოვნებისმცოდნე და მხატვარ იგორ ემანუელის-ძე გრაბართან გაემართა, იმასთან, რომლის წიგნს რუსულ ხელოვნებაზე ასე სიყვარულით კითხულობდა და ათვალიერებდა ხოლმე კოლია. ბებიამ ჩუმად წაიღო თან კოლიას ნამუშევრები და სახელგანთქმულ ოსტატს აჩვენა. მხცოვანი მხატვარი იმ დღეს რომელიღაც რთული კრების შემდეგ ძალზე დაღლილი იყო. იგი დიდი ხანია მიჩვეული იყო იმას, რომ ბებიები, მამიდები, დედები და მამები მოკრძალებით თხოვდნენ ხოლმე გადაეთვალიერებია მათი პირმშოების მხატვრული ნავარჯიშევი, ამიტომ გრაბარმა პაპკა უფრო ზრდილობისათვის აიღო, ვინემ ინტერესის გულისათვის და გულგრილად გახსნა იგი...

ერთი წუთის შემდეგ იგი სავარძლიდან წამოხტა, პაპკიდან ხედიხედ დაიწყო ნახატების ამოღება. ისინი მაგიდაზე გაშალა, მერე უეცრად ჩაეჭიდა ევდოკია კონსტანტინოვნას ხელში, რამდენჯერმე მაგრად ჩამოართვა ხელი, თან იმეორებდა: „მომილოცავს, გულწრფელად გილოცავთ! არა, შეხედეთ, როგორი ტალანტია!" მან მიირბინა ფიოდორ ნიკოლაევიჩთან და იმასაც ჩამოართვა ხელი: „ეს თქვენი ვაჟია? არაფერს ამდაგვარს არ მოველოდი! უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე მეგონა... ასე ვთქვათ, ნიჭიერი ყმაწვილია, ვიფიქრე, ვნახავ, არ ვაწყენინებ-თქო. მაგრამ, ეს ხომ ტალანტია! გაუფრთხილდით მას!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიოდორ ნიკოლაევიჩმა ბებიას თხოვა, კოლიასათვის არაფერი ეთქვათ ამ ვიზიტის შესახებ და იმანაც გრაბარის ქების შესახებ არაფერი იცოდა, იგი კვლავინდებურად შემოირბენდა ხოლმე ბებიასთან, ნებართვას თხოვდა „დაწკარუნებაზე“ ანდა ევდოკია კონსტანტინოვნას ეხვეწებოდა, გამიჩერდი, დაგხატოო.

ერთხელ კოლიას ბებიასთან დახვდა მელოტი, ძალზე ღრმა მოხუცი, მსხვილ ზედა ტუჩზე მიკრული დიდი ხორციანი ცხვირით და პატარა წვერით. მოხუცი ჩაისა სვამდა, თან ტუჩებს აცმაცუნებდა. მას ჩაის ჭიქა ხელიდან არ გაუშვია, ისე შემობრუნდა კოლიასაკენ და გულგრილი ალერსით მიაპყრო მას ხშირ წარბებქვეშ მიმალული თვალები.

— გაიცანით, გაიცანით, — აფუსფუსდა ბებია, — ეს ჩვენი კოლიუშენკაა. მე შენთვის მითქვამს. ეს კი ძია ვოკაა.

ძია ვოკამ ტუჩები ააცმაცუნა, აჩეჩილი წარბი შეარხია და ისევ ალერსიანად შეათვალიერა კოლია, რომელიც მიესალმა მას და მორიდებით ჩამოჯდა შორიახლოს, ბებიას სკივრზე. მას ბუნდოვნად ახსოვდა, რომ ბებიამ დიდი ხნის წინათ მოუთხრო რაღაც ძია ვოკაზე, მაგრამ ბებიას იმდენი ახლობელი და ნაცნობი ჰყავდა, რომ მათი დამახსოვრება ძნელი იყო. მოხუცი შეექცეოდა და ბებიას დაბალ ხმაზე რაღაცას ელაპარაკებოდა, კოლია კი იჯდა სკივრზე და სტუმარს ათვალიერებდა. მას ძალზე საინტერესოდ მოეჩვენა ძია ვოკას თავის ფორმა, მის დაფერდებულ შუბლზე ამობურცული წარბები და ხრტილოვანი ცხვირი. შეუმჩნევლად გახსნა ალბომი და მოხუცის ხატვა დაიწყო.

კოლია ისე გაიტაცა ამ საქმიანობამ, რომ ვერც კი შეამჩნია როგორ წამოდგა ბებია და მის ზურგს უკან, სკივრთან დადგა.

— აი, შე ანცო! — წამოიძახა მან. — შეხედე, ვოკა. მან შენი ჩახატვა მოასწრო.

შემკრთალმა კოლიამ ალბომის დამალვა სცადა. ეგონა, ძია ვოკა განრისხდებაო. მაგრამ მოხუცი ადგა, კოლიას მიუახლოვდა და რაღაც ძალიან პროფესიონალურად, მცოდნისა და ჭეშმარიტი შემფასებლის ჟესტით აიღო ნახატი, გასწია განზე, შეხედა, თან ოდნავ მხრისაკენ ხრიდა თავს.

— ასე, ასე, — ჩაილუღლუღა მან, — შეხედეთ, როგორი მარჯვეა! აბა? ხომ დაიჭირა! თანაც როგორ გაბედულად. თქვენ მხოლოდ შეხედეთ! სინდისს ვფიცავ, ბრწყინვალე ნამუშევარია. და რა არის ყველაზე გასაოცარი, იცი?.. აი, პატარა რომ ვიყავი, შვიდი წლისა, რეპინმა დამხატა, ილია ეფიმოვიჩმა, მერე, ახალგაზრდობაში, ასე, ოცი წლისა, ვიქნებოდი, ვალენტინ ალექსანდროვიჩმა სეროვმა დამხატა. მიხეილ ალექსანდროვიჩმა ვრუბელმა ჩემი პორტრეტი გააკეთა და აღსანიშნავია, ძვირფასო, რომ ყველა აკეთებდა მარცხენა პროფილს. ეს მათი ჩვეულებრივი ამბავია, ხელი თვითონ ითხოვს ასე. ამ შენმა ბიჭუნამ კი, შეხედეთ, მარჯვენა მხრიდან დამხატა. ეს ხომ იშვიათი შემთხვევაა, როცა მარჯვენა პროფილს აკეთებენ: ძალზე მოუხერხებელია ხელისათვის, სინდისს ვფიცავ, გასაოცარია! როგორი მტკიცე ხაზია!

— ლეონარდო და ვინჩიც მარჯვენას ხატავდა, — მორიდებით თქვა კოლიამ.

— გესმით? — აღფრთოვანდა მოხუცი. — ლეონარდოც. მხოლოდ ამ „ც“-სთვის მე ახლა თქვენ დაგკოცნით. არა, ვფიცავ სინდისს... თქვენ არ მისახსოვრებთ?

აქ ბებია წავიდა წინააღმდეგი.



ДОН-КИХОТИ ДА САНЧО-ПАНСА.

დონ-კიხოტი და სანჩო-პანსა.
ილუსტრაცია მ. სერვანტესის რომანისათვის „დონ-კიხოტი“.

— არა, არა, ვოკა, არ მოგცემ. გეყოფა შენ ვრუბელიც, რეპინიც, სეროვიც.

— ჰო და, სწორედ საინტერესო იყო მათთვის მიგვემატებინა, — თქვა ძია ვოკამ.

იგი მალე წავიდა, ალერსიანად აცმაცუნებდა ტუჩებს და სასაცილოდ ამოძრავებდა ხშირ წარბებს, თითქოს ოდნავ თვალს უკრავდა კოლიას.

— ბებია, ვინ არის ეგ ძია ვოკა? — დაინტერესდა მისი წასვლის შემდეგ კოლია.

ღმერთო ჩემო, შენ განა არ იცი? ეს ვსევოლოდ სავიჩ მამონტოვია. შენ გაგიგონია სავა ივანოვიჩ მამონტოვი? ეს იმის შვილია. იგი ახლაც აბრამცევის მუზეუმში მუშაობს.

გაუგონია კოლიას სავა მამონტოვი?.. მას უკვე იმდენი ჰქონდა წაკითხული თეატრზეც და მამონტოვის ოპერაზეც, იმაზეც, თუ როგორ ეხმარებოდა ეს განსწავლული მეცენატი და პატრიოტი ვრუბელს; აბრამცევის კარმიდამოზეც, სადაც მხატვრები ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ, აგრეთვე იმაზეც, თუ როგორ უჭერდა მეფესთან მხარს სეროვი მამონტოვს, როდესაც ამ უკანასკნელს ფინანსიური კატასტროფა დაატყდა თავს. მაშ ეს იმ მამონტოვის შვილია? ესეც შენ ძია ვოკა!.. კოლიამ კი, სკივრზე მჯდომმა, ფანქრით ერთბაშად გაიჯირითა და მისი პორტრეტი გამოაცხო... ფიქრმა, რომ მან ფანქრით ასე მოუფიქრებლად გაინავარდა იმ ხაზებზე, რომლებსაც დიდი ოსტატები შეეხენ, კოლია სირცხვილისაგან გააწითლა კიდეც.

თარგმნა **მიხეილ კაკაბაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ილია სიხარულიძე — „გამარჯობათ, პატარებო"



ილია სიხარულიძე მრავილი ათეული წელია უანგაროდ ემსახურება მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საპატიო საქმეს. იგი კარგად იცნობს ბავშვის სულიერ სამყაროს. გადაფურცლავთ თუ არა ილია სიხარულიძის ლექსების ახალ კრებულს, თქვენს ყურადღებას მიიპყრობს ბავშვებისადმი მისასალმებელი ლექსი «გამარჯობათ, პატარებო». ამ შესანიშნავ ლექსში პოეტი გულთბილად გამოხატავს თავის უსაზღვრო სიყვარულს «მოჭიკჭიკე ჩიტებისადმი», — პატარებისადმი.

ილია სიხარულიძის ლექსების ახალი წიგნი ექვსი განყოფილებისაგან შედგება: «ჩვენი პატარები», «პაწაწინა ლექსები», «გაზაფხული და ზაფხული», «შემოდგომა და ზამთარი», «სკოლა და სახელოსნო», «გურის მამა».

კრებულის პირველი განყოფილება იხსნება ლექსით «ზურას ფიქრები». პატარა ზურიკო ოცნებობს თვითმფრინავით გაფრენაზე და მშვიდობის დიდი ბურჯის კრემლის ნახვაზე.

ბავშვების სულიერი სამყაროს ღრმა ცოდნითაა დაწერილი ლექსი «ლაშა». პატარა ბიჭუნა, რომელსაც მუხლი ჯერ კიდევ არ გამაგრებია, ბაჯბაჯით იწყებს ფეხის ადგმას. სულ მალე მერვეს მეცხრე ნაბიჯი მიემატება, მეცხრეს — მეათე, და ლაშაც სიარულს დაიწყებს.

ლექსში «საბავშვო ბაღი» პოეტი გადმოგვცემს პატარების განცდებს საბავშვო ბაღში. აქ მათი სახალისო და წარმტაცი საქმიანობა გამოიხატება: ხატვაში, ძერწვაში, სიმღერასა და ცეკვაში.

ლექსი «ისე ეკადრებათ» მშვენიერად გადმოგვცემს ამერიკის მშრომელთა ცხოვრების მძიმე ეკონომიურ პირობებს, ზანგების მონურ ბედს და მათ უსიხარულო ცხოვრებას.

კრებულის მეორე განყოფილება იხსნება ლექსით «დავესწრები არჩევნებს». ბავშვი გრძნობს იმ დიდ სიხარულს, რომელსაც უფროსებში იწვევს არჩევნები. ამიტომ მისი ნატვრაა მალე გაიზარდოს დიდი, რათა ხმა მისცეს ხალხის რჩეულთ.

ლექსების ციკლი «გაზაფხული და ზაფხული» მხატვარ გ. რონიშვილის ნახატებით გვიშლის გაზაფხულისა და ზაფხულის მშვენიერ სურათებს. ციკლი იხსნება ასეთი სურათით: ცქრიალა გოგონას ხელში თაიგული უპყრია. აქვე ახლად გაფოთლილი ხეების ტოტებზე გაზაფხულის მოსვლას შეხარიან სხვადასხვა ფრინველები. ამ სურათს მოჰყვება ლექსები გაზაფხულზე, წელიწადის ამ ულამაზეს დროზე. შესანიშნავ ლექსში «დაგვიბრუნდით, დაგვიბრუნდით» აივანზე გადმომდგარი პატარები გულით ემუდარებიან ახლად მოფრენილ შოშიებს საცხოვრებლად მათი სახლის ერდო აირჩიონ.

ლექსებში «პატარა მებაღეები» და «მებოსტნე ნინო» ლამაზი პოეტური სახეებითაა აღწერილი ნორჩი მიჩურინელების საქმიანობა ბაღსა და ბოსტანში.

აღმზრდელობითი ხასიათისაა ლექსი «ტყის მეგობრის საუბარი». პოეტი კიცხავს მას, ვინც უდიერად აჩანაგებს ბუნების მშვენიერებას — ტყეს.

ლექსი «სიმღერა სამგორზე», გადმოცემულია ბავშვების მადლობის გრძნობა მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომლის მზრუნველობით გვალვით გადამწვარ სამგორის ველებს იორის მჩქეფარე წყალმა სიცოცხლე დაუბრუნა.

კრებულის მომდევნო განყოფილება: «შემოდგომა და ზამთარი» იხსნება ლექსით «ნანა სოფელში». ლამაზად დასურათებულ ვაზების ხეივანში მტევნებით ხელში მოჩანს თვალციმციმა გოგონა ნანა, რომელმაც პირველად ნახა რთველი და მისი სიუხვე სოფლად.

შემოდგომის აღწერას მოსდევს ლექსები ზამთარზე. წელიწადის ეს სუსხიანი, მაგრამ მაინც თავისებურად ლამაზი დრო, შესანიშნავად დაუხატავს პოეტს. ამ თემაზეა დაწერილი «თოვლის მოსვლა გვიხარია» და ქართული საბავშვო პოეზიის შედევრი «ყინულის ლოლუები». დაუვიწყარია ზამთრის დილის სურათი:

— ვიშ გენაცვალე ეს რა არის?!<br>
შესეთ სახურავის კიდეს!<br>
ამოდენა ჩურჩხელები<br>
ნეტავ წუხელ ჩამოკიდეს?!

პატარა ლექსში «წელს სკოლაში მივაბარე» გადმოცემულია პირველკლასელის სიხარული, გამოწვეული ზარის წკრიალით, ახალი მერხებით, მხარზე გადადებული ჩანთითა და დედაენის სახელმძღვანელოთი.

მოსწავლეების ღელვა გამოცდების წინ შესანიშნავადაა გადმოცემული ლექსში «გამოცდები». მიუხედავად გაზაფხულის დამათრობელი სურნელებისა, ბავშვების გულისყურს მხოლოდ გაკვეთილების მომზადება იტაცებს.

საუცხოო ლექსია «გორელ ბავშვებს». ყველა შენატრის გორელ ბავშვებს იმისათვის, რომ ისინი ყოველდღიურად ინახულებენ იმ სახლსა და არემარეს, სადაც ბავშვობის წლები გაატარა ბრძენმა ბელადმა სტალინმა.

ი. სიხარულიძის მეტად შინაარსიანი და მრავალფეროვანი ლექსების ახალი კრებული მთავრდება ლექსით «პატარა ვარ, ბავშვის კბილა». ამ ლექსში 60 წელს გადაცილებული პოეტი მხნედ ჰპირდება ბავშვებს, რომ იგი კვლავაც ჭაბუკური გატაცებით უმღერებს ჩვენს დიად სამშობლოს და მის მშვენიერებას, მომავალ თაობას.

ლექსების კრებული «გამარჯობათ პატარებო» კარგადაა დასურათებული ნიჭიერი მხატვრის გ. რონიშვილის მიერ. ეს წიგნი ყველა პიონერმა უნდა წაიკითხოს და წაუკითხოს თავის უმცროს და-ძმებს.

სიმ. სხირტლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოკლედ ყველაფერზე

## ცოცხალი საათები

ერთ დასვენების დღეს სერიოჟა ბაბუასთან ერთად სათევზაოდ წავიდა. ისე სწრაფად იჭერდნენ ანკესით წითელფარფლიან ქორჭილას, რომ ყველაფერი დაავიწყდათ ამ ქვეყნად.

შეშფოთებულმა სერიოჟამ უცებ წამოიძახა:

— ვაი, ბაბუა, ჩვენ სულ დაგვავიწყდა, რომ დედამ გვითხრა ექვს საათზე სახლში იყავითო.

ბაბუამ თვალები მოჭუტა, ხელი მოიჩრდილა და მზეს ისე გახედა.

— ვერ მეტყვი, შვილო, რომელი საათია?

— როგორ უნდა გითხრა ბაბუა? ჩვენ ხომ საათი არა გვაქვს,—მიუგო სერიოჟამ.

— მე მაქვს საათი.—ეშმაკურად უთხრა **ბაბუამ.**

ბავშვმა კარგად იცოდა, რომ ბაბუას არავითარი საათი არ ჰქონდა, და ისე როგორც ყოველთვის, ახლაც ხუმრობდა. მაგრამ ეს ხუმრობა მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

— სად არის საათი?

— აი ჩემი საათი! ნახე, რომელი საათია!

ირგვლივ მხოლოდ ყვავილები და ბალახი იყო. არავითარი საათი აქ არ ყოფილა.

— აი, ესენი არიან საათები, ცოცხალი, საათები,—უხსნიდა ბაბუა და თან ყვავილებზე უჩვენებდა.

ბავშვი იქვე, ლიანდაგის ახლოს ჩაცუცქდა და ხელი მოკიდა პატარა ყვავილს, რომელიც ბაბუაწვერას გავდა. ყვავილს ყვითელი კალათა დახურული ჰქონდა.

— ეს ლომისკბილაა,—თქვა ბაბუამ.— დილით შვიდ საათზე ლომისკბილა შლის თავის კალათას. ნაშუადღევს, სამ საათზე ისევ ხურავს მეორე დილამდე. ნახე, კალათა ახლა დახურულია.

— რა საინტერესო ყვავილია!—წამოიძახა გახარებულმა სერიოჟამ,— ახლა სამ საათზე მეტი ყოფილა, მაგრამ ზუსტად მაინც არ ვიცით რომელი საათია. იქნებ ოთხია, ან ხუთი? შეიძლება მეტიც!

— მერე რა, მოდი, სხვა საათი ვნახოთ,— უპასუხა ბაბუამ:

მან მოძებნა კიდევ ერთი ყვავილი, რომელსაც ცისფერი კალათა ჰქონდა და თქვა, რომ ეს არის გარეული ვარდკაჭაჭა. კალათა მთელ დღეს დახურული აქვს, შლის მხოლოდ საღამოს, როცა სიცხე შენელდება, ასე 5-დან ექვს საათს შორის.

როგორც ხედავ კალათა კიდევ დახურულია. სერიოჟა მიხვდა, ჯერ ხუთი საათი არ იყო, მაგრამ ეჭვობდა, ზუსტად უჩვენებდა თუ არა დროს ვარდკაჭაჭა.

— ცოცხალი საათები ძალიან ზუსტია,— აუხსნა ბაბუამ და კიდევ ერთი მაღალი მცენარე უჩვენა, რომელსაც წვერზე ყვითელი კალათებისაგან შემდგარი ქოლგა ამშვენებდა ამ ყვავილს ქოლგისებრ ხარნუყას ეძახიან. კალათას შლის დილის ექვს საათზე და ხურავს დღის ხუთ საათზე.

— რა კარგია, ჯერ ხუთი საათი კიდევ არ არის! სახლში დროზე მივალთ!

მეთევზეებმა აიღეს ანკესი. სათლი თევზით და შინისაკენ გასწიეს სახლი ახლოს იყო და არ ჩქარობდნენ. გზაში სერიოჟამ მოაგროვა «ცოცხალი» საათები სკოლის ჰერბარიუმისათვის, რომ ყველა ბავშვს ცოდნოდა ამის შესახებ.

## რძის ქვა

რძის ქარხნებში რძეს სეპარატორში ატარებენ, რის შედეგადაც რძე უცხიმოდ რჩება. შეადედებენ ამ უცხიმო რძეს და მიიღებენ უცხიმო მაწონს. სწორედ ეს მაწონია ქიმიკოსებისათვის ღირებულების მქონე ნედლეული. მაწვნისაგან შეიძლება მივიღოთ ხაჭო, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილი ცილოვანი ნივთიერებაა— კაზეინი. როდესაც ხაჭო ხმება, ქვასავით მაგარია. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ეს «ქვა» როგორც კი დასველდება კარგავს სიმაგრეს. ქიმიკოსებმა ხაჭო წყალგამძლედ გახადეს. ფორმალინით დამუშავებული ხაჭო ძვალს წააგავს და სრულებით არ ეშინიან წყლისა. ამგვარად მიიღეს ქიმიკოსებმა ახალი ნივთიერება, რომელსაც გალალიტი დაარქვეს, რაც ბერძნულად «რძის ქვას» ნიშნავს.

გალალიტი 5—6 ჯერ გამძლეა ხეზე, გამძლეობაში აგრეთვე არ ჩამოუვარდება, ზოგიერთ ლითონს—ალუმინს, სპილენძს.

«რძის ქვა» ემორჩილება მექანიკურ დამუშავებას. შეიძლება მისი გახერხვა, გარანდვა, შემოჩარხვა, გალარვა ისევე როგორც ძვლისა.

80°/₀ ტემპერატურაზე გალალიტი რბილდება, რაც მისი ადვილად დამუშავების საშუალებას იძლევა: მოპირკეთება, პრესში გატარება, დაშტამპვა და სხვ.

გალალიტისაგან მზადდება ღილები სავარცხლები, გულქანდები და მრავალი სხვა საგალანტერიო საქონელი.

საბჭოთა მეცნიერები ისე დახელოვნდნენ გალალიტის წარმოებაში, რომ მას ახლა მარტო რძის კაზეინიდან კი არ აკეთებენ, არამედ მუხუდოსაგან, სოიასაგან და სხვა პარკოსანი მცენარეებიდანაც.



## ნილოსის თევზი

მდინარე ნილოსში იცის საინტერესო თევზი. ადგილობრივი მცხოვრებნი მას «ბულტის» ეძახიან.

«ბულტი» პატარა თევზია. მისი ყველაზე დიდი ეგზემპლარი სიგრძით შვიდ სანტიმეტრსაც ვერ აღწევს. ამ თევზს ზურგი ღია-იისფერი აქვს, დაჰკრავს მოწითალო სპილენძის ფერიც. მუცელი აქვს —თეთრი, ზურგის ფარფლი—ყავისფერ-ნარინჯისფერი. თევზს მთელი ტანი მომწვანო-მტრედისფერი ლაქებით აქვს დაფარული. მისი პატარა პირი მოოჭვილია მაგარი და ბასრი კბილებით.

ქვირითის დაყრის დროს სილაში მამალი ბოლოთი აკეთებს ჩაღრმავებულ ადგილს, სადაც შემდეგ დედალი სდებს 30-40 ცალ მკვეთრ ნარინჯისფერ, ფეტვის მარცვლისოდენა ქვირითს განაყოფიერებულ ქვირითებს დედალი ინახავს პირში. ამ დროს იგი დიდ ზრუნვაშია. ლიფსიტების გამოსვლამდე, თითქმის ორი კვირის განმავლობაში, თევზი არაფერს არა ჭამს. როცა ლიფსიტები ოდნავ წამოიზრდებიან, დედა მათ გამოუშვებს პირიდან.

სადაც კი წავა დედა, ნამცეცა ლიფსიტები ყველგან თან დასდევენ. რაიმე საფრთხის მოახლოების დროს, დედა გააღებს პირს და ლიფსიტები სწრაფად მიიმალებიან იქ. ასე გრძელდება მანამდე, სანამ პატარები დამოუკიდებლად არ დაიწყებენ **ცხოვრებას.**

## «უჩვეულო ამბავი»

1929 წლის თებერვალში, დედამიწის განახლების იდეებითა და ამისთვის საჭირო ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდა შვილი ეწვია აზერბაიჯანიდან — უკრაინაში კარლოვკელ გლეხს დენისს.

დედამიწა თოვლის საბანშია გახვეული... გარეთ ცივა... დენისეს თბილ სახლში, მამასა და შვილს შორის ხანგრძლივი სჯაბაასი ჩამოვარდა... ბოლოს რაღაც გადაწყდა...

მეორე დღეს დილა ადრიანად გაიღო ბეღლის კარები და დენისმა საშემოდგომო ხორბლით სავსე ტომრები აიკიდა ზურგზე, გარეთ გამოიტანა და იქვე მახლობლად თოვლის ორმოში ჩამარხა.

— ეს რა ახირებული აზრი მოსვლია თავში? დენისი არც ისეთი მოხუცია ტყუილ უბრალოდ გააფუჭოს ამდენი ჭირნახული,— უკვირდათ დენისეს მოქმედება მის მეზობლებს...

— სოფელს კარზე მოადგა გაზაფხული... დაიწყო საგაზაფხულო თესვა დაკანონებული წესის მიხედვით...

— საშემოდგომო ხორბალი შემოდგომით და საგაზაფხულო ხორბალი გაზაფხულზე უნდა დაითესოს—ეს ბუნების კანონია. მართალია დენისი მწვანე აღმონაცენს მიიღებს, მაგრამ მოსავალს კი ვერას გზით— ამბობდა ერთი.

— შეიძლება საბალახოთ უნდა ანდა სათიბათ—კვერს უკრავდა მეორე...

— გავიდა ხანი... საგაზაფხულო ხორბლის ნათესი ამოვიდა...

— არც დენისეს საშემოდგომო ხორბლის გაზაფხულზე ნათესმა დაიხია უკან,— პირიქით.

— საოცარი ამბავი მოხდა, დაყვავილდა კიდეც... დაიტოტა... დამსხვილთავთავდა, უფრო მეტად ვიდრე მეზობლებისა.

— დამწიფდა ყანები... დაიწყო მკა...

დენისმა სხვებზე ადრე და მეტი ხორბლის მოსავალი დააბინავა ბეღელში...

— გაოცდა კარლოვკა... გაოცდა პოლტავა... ტელეფონმა და რადიომ ეს ამბავი ამცნო ქვეყანას. დენისეს «სამეცნიერო ფილიალისკენ» მოიჩქაროდა დიდი და პატარა, გლეხი და სწავლული, რომ საკუთარი თვალით ენახა ეს უჩვეულო ხორბალი.

— ეს იყო დენისეს სტუმრის—ტროფიმე დენისეს-ძე ლისენკოს მიერ ბუნებაში აღმოჩენილი კანონზომიერების განხორციელება და იდეალიზმის განადგურება ბიოლოგიაში...

— ეს იყო იაროვიზაციით მცენარის ქცევის მართვა და ბუნებაზე გამარჯვების საუკეთესო მაგალითი.

ბრ. ნემსაძე
სოფლ. მეურნ. მეცნ. კანდიდატი.




# შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.
ირაკლი აბაშიძე — პატარა გორი დიდია (ლექსი) . . . . . . . გარეკ. . . . . 2
ალექსანდრე აბაშელი—ოქროწერილი (ლექსი) . . . . . . . . . 1
აკაკი ბელიაშვილი —მარტივი ამოცანა (მოთხრობა) . . . . . . . . . 2
გიორგი კაჭახიძე—დილა ფერმაში (ლექსი) . . . . . . . . . . . 7
ლეო ქიაჩელი — დათუჩას გაცილება (მოთხრობა) . . . . . . . . . 8
ნაზი კილასონია — ჩემი თაობის ფრთები (ლექსი) . . . . . . . . . . 11
ერემია ქარელიშვილი—ბავშვთა გულის მესაიდუმლე (წერილი) . . . . . 12
შიო მღვიმელი — პაწია მერცხალი; ადე ბიჭო ზაქარია (ლექსები) . . . 13
რევაზ ჯაფარიძე—გატეხილი ღამე (ნაწყვეტი) . . . . . . . . . . 14
ნ. ნოსოვი — ნინიკო (მოთხრობა, რუსულიდან თარგმნა რ უ ს უ დ ა ნ ქ ე ბ უ ლ ა ძ ე მ) . . . . . . . . . . 17
იულიან ტუვიმი—საბავშვო ლექსები (თარგმნა რ ე ვ ა ზ მ ა რ გ ი ა ნ მ ა) . 22
ლევ კასილი — აისი (მოთხრობა, რუსულიდან თარგმნა მ ი ხ ე ი ლ კ ა კ ა ბ ა ძ ე მ) . . . . . . . . . 25
სიმონ სხირტლაძე — ილია სიხარულიძე—„გამარჯობათ პატარებო“ (წერილი) 30
მოკლედ ყველაფერზე:—ც ო ც ხ ა ლ ი ს ა ა თ ე ბ ი, რ ძ ი ს ქ ვ ა, ნ ი ლ ო ს ი ს თ ე ვ ზ ი, „უ ჩ ვ ე უ ლ ო ა მ ბ ა ვ ი“ . . . . . . 31
ჭ ა დ რ ა კ ი . . . . . . . . . . გარეკ. . . . 3
პ ა ს უ ხ ე ბ ი . . . . . . . . . . „ . . 3
აკაკი გეწაძე —ზამთრის დილა (ლექსი) . . . . . . . გარეკ . 4

გარეკანის პირველ გვერდზე — „ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი  წ ი გ ნ ი“ — ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის მხატვარ ალ. ვეფხვაძისა.

გარეკანის მეორე გვერდზე — ი. ბ. სტალინის სახლი გორში — ნახატი სტალინური პრემიის ლაურეატის უჩა ჯაფარიძისა.

გარეკანის მეოთხე გვერდზე — „ზამთარი ბაკურიანში“ — ფოტოეტიუდი ვ. გინზბურგისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: ზ. ლეჟავას, კ. მახარაძის, ო. ჯაფარიძისა და ალ. ბანძელაძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

რ ე დ ა ქ ც ი ა შ ი  შ ე მ ო ს უ ლ ი  მ ა ს ა ლ ე ბ ი  ა ვ ტ ო რ ე ბ ს  ა რ  უ ბ რ უ ნ დ ე ბ ა თ.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Декабрь, № 12, 1953.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

უშ 14951 ტირაჟი 15.000 გამომც. შეკვ. № 359 სტამბის შეკვ. № 1360. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.

6

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭადრაკი

## როგორ იმუშაოს მოჭადრაკემ თავის თავზე

ჭადრაკი რთული და ძნელი თამაშია, რომელიც მოითხოვს მოჭადრაკისაგან დაუღალავ და გეგმიან მუშაობას თავის თავზე. მხოლოდ საჭადრაკო თეორიის დაუფლება და მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოსვლებში დაკვირვებული გამოყენებაა საწინდარი მოჭადრაკის თამაშის სრულყოფისა.

თავის თავზე მუშაობის მეთოდი ბევრნაირი არსებობს. საბჭოთა საჭადრაკო სკოლას შემუშავებული აქვს მუშაობის რამდენიმე მეთოდი.

ერთხმად აღიარებულია, რომ გათამაშებული პარტიების გარჩევა — ანალიზი ხვეწავს მოჭადრაკის თამაშს. პარტია წარმოადგენს ორი ოსტატის შემოქმედებითი ბრძოლის ნაყოფს, რაშიც ჩაქსოვილია მათი საჭადრაკო ერუდიცია და გამოცდილება. ამიტომ ასეთი პარტიების გულდასმითი შესწავლა და ანალიზი მეტად სასარგებლოა. მსოფლიო ჩემპიონის მ. ბოტვინიკის თქმით, ის, ვისაც სწადია გახდეს გამოჩენილი მოჭადრაკე, აუცილებლად უნდა დახელოვნდეს საჭადრაკო ანალიზის სფეროში. პარტიების, ცალკეული პოზიციების, თუ სადებიუტო ვარიანტების ანალიზი წარმოადგენს მოჭადრაკის შემოქმედებითს მუშაობას, რაც შესამჩნევად ავითარებს მოთამაშის „საჭადრაკო მხედველობას" და პოზიციის შეცნობა — შეფასების უნარს.

რომელი პარტიები უნდა გახდეს მოჭადრაკის ანალიზის ობიექტი? პირველ რიგში მის მიერვე ნათამაშევი პარტიები. მათი შესწავლითა და საფუძვლიანი ანალიზით, პრაქტიკულ ბრძოლაში დაშვებულ შეცდომათა მიზეზების მოძებნით, მონახული ნაკლის აღმოფხვრითა და დაძლევით მოჭადრაკე თავის თამაშს უფრო დაუახლოვებს ოსტატთა თამაშის დონეს.

საჭიროა აგრეთვე გროსმაისტერებისა და ოსტატების პარტიების შესწავლა. ამ მუშაობას სხვადასხვა მხრიდან შეიძლება მიუდგეს მოჭადრაკე. ზოგი დებიუტს, ზოგი კი შუა თამაშს გახდის შესწავლის საგნად. გააჩნია, ვის რა აინტერესებს, ცხადია, პირველ ხანებში ამ პარტიებიდან ბევრი რამ გაუგებარი, ბნელით მოცული დარჩება გამოუცდელი თვალისათვის, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება გულის გატეხა. ყოველდღიური, მუყაითი მუშაობით ყველაფერი გასაგები გახდება, ოღონდ რთული ადგილების გასაცნობად სასურველია კონსულტაცია მიიღოთ მაღალკვალიფიციური მოჭადრაკისაგან. პედაგოგიური თვალსაზრისით მიზანშეწონილია ისეთი პარტიების გარჩევა, რომლებსაც საფუძვლიანი კომენტარები ახლავს.

როგორ გავარჩიოთ საჭადრაკო პარტია? სასურველია გათამაშებული პარტია გაირჩეს ამხანაგთან ერთად, ხოლო გამოაშკარავებული შეცდომების მიზეზების ახსნა-განმარტება მოიძებნოს სახელმძღვანელოში.

პარტიის გარჩევა შეიძლება დამოუკიდებლადაც. „მოჭადრაკე დამოუკიდებლად უნდა აზროვნებდეს" — ამბობს მსოფლიოს გამოჩენილი მოჭადრაკე ე. ლასკერი. მოჭადრაკე კომენტარების გვერდის ავლით არჩევს პარტიას, ცალკე ქაღალდზე იწერს წამოჭრილ აზრებს, შემჩნეულ ვარიანტებს, გეგმებს... შემდეგ ოსტატის კომენტარებთან შედარებისას არკვევს თავისი ნამუშევრის სისწორეს. ასეთი ანალიზი დიდად ავითარებს მოჭადრაკეს. ამიტომ არის შემთხვევა, რომ მზარდი მოჭადრაკე დამოუკიდებელი ანალიზით ნახულობს ისეთ გაგრძელებებს, რომლის სამართლიანობა უკუაგდებს ცნობილი მოჭადრაკის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. ეს არც გასაკვირია. ჭადრაკის თამაში იმდენად ღრმაა, რომ მისი მრავალფეროვნება ჯერ კიდევ შეიცავს მიუწვდომელ საიდუმლოებას.

პარტიის შესწავლისას მთავარი ყურადღება ექცევა ორ გარემოებას: 1) იმას, თუ რა იყო ერთი და მეორე მხარის შეცდომა, დამარცხების მიზეზი, და 2) რომელი იყო ის კრიტიკული პოზიცია, რომელშიც გადაწყდა ბრძოლის ბედი.

მეტად ნაყოფიერია პარტიის გარჩევისას ვაკეთებდეთ ჩანაწერებს. ანალიზის დასასრულს უნდა შევჯამდეს ისინი და დაიწეროს ვრცელი, საფუძვლიანი კომენტარი, რომელიც მთელი სიღრმით მოიცავს პარტიაში გამართული ბრძოლის აღწერას. კომენტარების შედგენა წარმოადგენს თვითკონტროლის საუკეთესო საშუალებას.

საჭადრაკო პარტიის გარჩევა-ანალიზი სერიოზული შემოქმედებითი მუშაობაა. ნაჩქარევად, რამდენიმე საათში პარტიის გარჩევას არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია — მეტიც, შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მოჭადრაკის თამაშზე, დააყოვნოს მისი ზრდა. სპორტის დამსახურებული ოსტატის პ. რომანოვსკის აზრით, მოჭადრაკე წელიწადში უნდა არჩევდეს 8—12 პარტიას. თითო პარტიას ზოგჯერ ერთი თვეც არ ყოფნის. დღეში 2—3 საათის მეტი მუშაობა ანალიზზე არ არის საჭირო. მ. ბოტვინიკი შენიშნავს, რომ 1—2 საათში პარტიის გარჩევა უნაყოფო შრომაა.

თამაშში დახელოვნებისათვის, განსაკუთრებით კი ენდშპილების (დაბოლოებათა) დაუფლებისათვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საჭადრაკო ეტიუდების გადაწყვეტას. ეტიუდის შინაგანი აგებულება ძალზე წააგავს პრაქტიკულ პარტიებში მომხდარ დაბოლოებას. საჭადრაკო ეტიუდები და ამოცანები მის ამომხსნელს უვითარებს ყურადღებას, გონებამახვილობას და ვარიანტების სწრაფი და სწორი გათვლის ტექნიკას.

ამრიგად, მონდომებული, გულდასმითი, სისტემატური თეორიული და პრაქტიკული მუშაობა მოჭადრაკის შემოქმედებითი ზრდის საწინდარია.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში.

### პასუხები ჟურნალ «პიონერის» № 11 მოთავსებულ გასართობზე

#### 1. პასუხი კროსვორდზე

**ჰორიზონტალურად**

3. რემა, 6. რამი, 8. რილეევი, 10. ატამი, 11. ადამი, 12. სიფრიფანა, 15. ირანი, 19. ურანი, 21. ვისკოზი, 22. მიუნხენი, 23. ობელისკი, 25. სტიმული, 26. ფინია 27. იტრია, 32. ნაპოლეონი, 34. ავიზო, 35. ალიზი, 36. ხერვიზი, 37. ნენი, 38. აზია.

**ვერტიკალურად**

1. ირემი, 2. მინდი, 4. არმია, 5. ბელინსკი, 6. რიონი, 7. ატომი, 9. იმერი, 13. ინდონეზია. 14. ბრილიანტი, 16. რაციონი, 17. სიენიტი, 18. იზაბელა, 20. ნანკინი, 24. სმისლოვი, 26. ფესვი, 28. ავაზა, 29. დაისი, 30. უნცია, 31. ოზონი, 33. ალტაი.

#### 2. პასუხი გამოცანებზე

1. მაგნიტი, 2. კუ, 3. თხა, 4. ორშიმო, 5. ქვევრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზამთრის დილა

მალხაზო, გარეთ გამოდი,
რა ამბავია, ნახე,
ფიფქიან ცაში მწოლარე
მზე თვალებს ველარ ახელს.
გათენდა, რა დროს ძილია,
გამოიხედე, ნანა;
თოვლისგან ბალში ხეები
თავჩაქინდრული დგანან.
გუნდაობაში გიას გუნდს
აჯობა შოთას გუნდმა.
ცოტნე, გრცხვენოდეს, რად ისვრი
წყალში გაწურულ გუნდას.
ვთამაშობთ, მტრები როდი ვართ,
რატომ იქცევი ასე,
კმარა წავიდეთ, ბიჭებო,
ბილიკს ავუყვეთ მთაზე.
ხედავთ, თამაზი ქორივით
მთიდან მოფრინავს ციგით.
გაშლილა თეთრი მთა-ბარი,
როგორც ზღაპრული წიგნი.

აკაკი გეწაძე

ფასი 2 მან.